გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 70
(11 527)

7 – 10 სექტემბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



4

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

**საქართველო-ლიტვა**

ალექსანდრე იაშვილმა ორი უპასუხო გოლი გაუტანა ლიტველებს...

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## მოლოცვა აზერბაიჯანიდან

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს!

ნება მომეცით მოგილოცოთ საქართველოს ეროვნული ნაკრების გამარჯვება უნგრეთისა და ლიტვის ნაკრებ გუნდებთან.

გულწრფელად გავიხარეთ თქვენი წარმატებით. გისურვებთ ახალ წარმატებებს.

ფუად მუსაევი,
აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

## მაღალი შედეგები მსოფლიო ჩემპიონატის წინ



დამთავრდა აჭარის ღია ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. წინასწარი განცხადებით შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო სომხეთის, უკრაინის, ქ. თბილისის, რუსეთისა და თურქეთის წამყვან მშვილდოსნებს. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთში 14 სექტემბერს იწყება მსოფლიო ჩემპიონატი, მონაწილეობდნენ მხოლოდ ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის რაიონის წამყვანი მშვილდოსნები. სასიხარულოა, რომ ჩვენმა ქალებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მაღალი შედეგები აჩვენეს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი მშვილდოსნები მზად არიან პეკინში სანუკვარი მედლების მოპოვებისათვის იბრძოლონ.

მრავალჭიდში, ქალთა შორის, პირველი ადგილი დაიკავა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ხათუნა ფუტკარაძემ – 1325 ქულა (323, 335, 330, 337 ქ.). ასევე პირადი საერთაშორისო შედეგით 1317 ქულით (328, 328, 318, 345) მეორე ადგილზეა ასმათ დიასამიძე, მესამეზე – ასევე პირადი შედეგით 1283 ქულით (312, 320, 320, 331) გამოცდილი ოლღა ლადიგინა. ოლიმპიურ ვარჯიშში ფინალში შეხვდნენ საქართველოს წლევანდელი სეზონის ლიდერი და ეროვნული გუნდის კაპიტანი, ბათუმელი ხათუნა ფუტკარაძე და ხელვაჩაურელი ასმათ დიასამიძე. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ასმათ დიასამიძემ და მოიპოვა აჭარის ჩემპიონის წოდება. მესამე ადგილზე გავიდა ოლღა ლადიგინა.

ვაჟებს შორის ფინალურ შეჯიბრებაში ერთმანეთს დაუპირისპირდა მსოფლიო უნივერსიადის მონაწილე, აჭარის გასული წლის ვიცე-ჩემპიონი ლადო ბოლქვაძე და მოზარდებს შორის ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონი დიმიტრი კირიჩენკო. ყველასათვის მოულოდნელად გაიმარჯვა ახალგაზრდა მშვილდოსანმა დიმიტრი კირიჩენკომ. მესამე ადგილზე გავიდა ასევე პერსპექტიული სპორტსმენი სერგეი ვორონოვი. შეჯიბრებაში ტრავმის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა სერგო ბერიძემ.

10 სექტემბერს საქართველოს ქალთა მშვილდოსანთა ნაკრები უნდა გაემგზავროს პეკინში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. ვიზები გაფორმებულია, თვითმფრინავის ბილეთები დაჯავშნულია. სპორტსმენები ელოდებიან საქართველოსა და აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტიდან დაფინანსებას. გვჯერა, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა ჩვენმა მშვილდოსნებმა საქართველო წარმოადგინონ მსოფლიო ჩემპიონატში.

სიმონ ზაქარაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.






6













### დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოში კალათბურთის განვითარება — პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისათვის, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ***ილარიონ ხაზარაძე*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

### მილოცვა

ვეტერანი ნიჩბოსნები დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ წარსულში ცნობილ სპორტსმენს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს აკადემიურ ნიჩბოსნობაში, საქართველოს კანოეს და ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს, ღირსეულ პიროვნებას ***გენადი პატარაიას.***

ქართული სპორტი და ბიუჯეტი 2

### ანონსი

„ლელოს“ შემდეგ ნომერში:
რატომ ექახიან ედმუნდოს საქონელს?

ტაფარელი და მისი 17 შვილი 5



# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### არგენტინელთა ზეიმს ტრაგედია დაერთო

ბრაზილიელებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში არგენტინელთა გამარჯვებამ, მიუხედავად იმისა, რომ საგზური განაღდებული ჰქონდა, ქვეყანაში საყოველთაო ალტაცება გამოიწვია. სამწუხაროდ ბუენოს — აირესში ერთი გულშემატკივარი ამ გამარჯვების აღნიშვნის ზეიმზე დაიღუპა.

### მათეუსი „რაპიდის“ დირექტორია

გერმანიისა და მსოფლიოს ფეხბურთის გამოჩენილი ნახევარმცველი ლოთარ მათეუსი გუშინ ავსტრიის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „რაპიდის (ვენა) დირექტორად დაინიშნა.

### „ბორუსია“ უარზეა

ბუნდესლიგის ლიდერმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ უარი შეუთვალა „ინტერს“, რომელიც ჩეხეთის ფორვარდ ტომაშ როსიცკიში 45 მილიონ დოლარს სთავაზობდა. შარშან დეკემბერში „ბორუსიამ“ პრაღის „სპარტადან“ როსიცკი 12 მილიონ დოლარად შეიძინა“.

### უეფამ მატჩი არ გადაიტანა

მას შემდეგ, რაც დაღესტნის რკინიგზაზე ბომბი აფეთქდა, შოტლანდიის „რეინჯერსმა“ უეფას თასზე „ანჟისთან“ მატჩის გადატანა მოითხოვა სხვა ქალაქში. უეფამ საკმარისად ჩათვალა უსაფრთხოების გარანტიები, რომელიც რუსეთიდან მიიღო. მატჩი კვლავ მახაჩყალაში ჩატარდება.

დევდარიანი და ქინქლაძე თბილისში გაქუდრეს! 4

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

**მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა**

SALT LAKE 2002

**ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 158 დღე გვაშორებს**

**8–24 თებერვალი 2002 წ.**

# ბიუჯეტი და ქართული სპორტი: რას ვიღებთ და რაში ვხარჯავთ?..

**ფული დიდი მაცდური რამ არის. ასე იყო ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, ასეა დღესაც. სადაც ფულია, იქ მუდამაა ჭორიც და ეჭვებიც. მით უმეტეს, ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.**

**ჩვენში სპორტის დაფინანსება, თუ ქვეყნის სპორტულ ტრადიციებს გავითვალისწინებთ, მართლაც მიზერულია. როგორ გინდა ყველას გასწვდე, მით უფრო, როცა ქვეყანაში 60-მდე სპორტული ფედერაცია ფუნქციონირებს, როცა გაჭირვებაში ჩავარდნილი ვეტერანებიც მისახედია და ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენები იმდენად მაინც უნდა გამოკვებო, რომ დახარჯული ენერგია აღიდგინოს, დაუმატეთ ამას ხელფასები და სტიპენდიები, სამეურნეო ხარჯები...**

**დასამალი არაფერია, ყველამ უნდა იცოდეს, სად და რაში იხარჯება ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული. საჯაროობა ხომ ჭორებისა და ეჭვების გაფანტვის ყველაზე ნაცადი საშუალებაა. მაშ ასე, მოდით, ერთად ვნახოთ, რამდენი მიიღო წლეულს ბიუჯეტიდან ქართულმა სპორტმა, როგორ და რისთვის გაიხარჯა იგი 2001 წლის 6 აგვისტომდე? თანხები ნაჩვენებია ლარებში.**

**1. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**
შეკრება (ბაკურიანი) — თავისუფალი ჭიდაობა — 10028
შეკრება (ბაკურიანი) — ბ/რ ჭიდაობა — 10028
საქართველოს ჩემპიონატი — თავისუფალი ჭიდაობა — 13834
შეკრება (თბილისი) — თავისუფალი ჭიდაობა — 9910
საქართველოს ჩემპიონატი — ბ/რ ჭიდაობა — 13430
ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირი (თავის. და ბ/რ ჭიდაობა) — 29988
შეკრება (ბორჯომი) — თავისუფალი ჭიდაობა — 17160
შეკრება (ბორჯომი) — ბ/რ ჭიდაობა — 17160
ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი (ბ/რ ჭიდაობა) — 12093
შეკრება (ბორჯომი) — თავისუფალი ჭიდაობა — 18160
შეკრება (ბორჯომი) — ბ/რ ჭიდაობა — 17960
ევროპის ჩემპიონატი (უნგრეთი) — თავისუფალი ჭიდაობა — 30760
შეკრება (ბათუმი) — ბ/რ ჭიდაობა — 18860
ევროპის ჩემპიონატი (თურქეთი) — ბ/რ ჭიდაობა — 20629
მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებში (ტაშკენტი) — 35566
შეკრება (ბორჯომი) — თავისუფალი და ბ/რ ჭიდაობა — 20000
**სულ 295566, ვალი 6289**

**2. ძიუდო**
პარიზის საერთაშორისო ტურნირი — 20316
შეკრება (ბაკურიანი) — 9240
შეკრება (ბორჯომი) — 12310 (250)
შეკრება (ბორჯომი) — 15672
ევროპის ჩემპიონატი (საფრანგეთი) — 40158
შეკრება (ბაკურიანი) — 12300
შეკრება (ბორჯომი) — 7700
მსოფლიო ჩემპიონატი (გერმანია) — 35928
**სულ 153874, ვალი 14050**

**3. ხელბურთი**
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი (თურქეთი) — 8604
სასწავლო-საწვრთნელი შეკრება (აზერბაიჯანი) — 10064
**სულ 18668**

**4. ზამთრის სახეობები**
მსოფლიო თასის ეტაპები (ავსტრია, შვეიცარია, გერმანია)— 23596
**ვალი 23940**

**5. ტანვარჯიში**
მსაჯთა სემინარი (მოსკოვი) — მხ. ტანვარჯიში — 1435
მსაჯთა სემინარი (მოსკოვი) — სპ.ტანვარჯიში — 1115
საწვრთნელი შეკრება (მოსკოვი) — 2400
მსაჯის მივლინება მოსკოვის ტურნირზე — 1017
საწევრო შესატანი — 994
საერთაშორისო ტურნირი (შვეიცარია) — 1830
**სულ 8791, ვალი 8995**

**6. კალათბურთი**
საქართველოს ჩემპიონატი — 20000
სასწავლო საწვრთნელი შეკრება (სლოვენია) — 25486
ბელარუსისა და ბულგარეთის ნაკრებების მიღება — 10000
ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი (საბერძნეთი) — 20000
საპასუხო მატჩები ბელარუსსა და ბულგარეთში — 32100
**სულ 107586, ვალი 8585**

**7. რაგბი**
სასწავლო-საწრთნ. შეკრება (საფრან.) — 30553
ევროპის ერთა თასის მატჩი (რუმინეთი) — 22067
**სულ 52620, ვალი 5040**

**8. კრივი**
საერთაშორისო ტურნირი (უნგრეთი) — 9231
საქართველოს ჩემპიონატი — 6612
შეკრება თურქეთში და მსოფლიო ჩემპიონატი (ირლანდია) — 38419
**სულ 54262**

**9. ჭადრაკი**
საქართველოს ჩემპიონატი — 2905
პოლონეთი — 10700
მაკედონია — 8000
საბერძნეთი — 3800
ჰოლანდია — 2200
საბერძნეთი — 4979
**სულ 32584, ვალი 2400**

**10. ჩოგბურთი**
დევისის თასი (აფრიკა) — 26345
ქალთა თასი (თურქეთი) — 9955
**სულ 36300**

**11. ტყვიის სროლა**
საერთაშორისო ტურნირი (გერმანია) — 5450
ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი) — 9571
მსოფლიო თასის ეტაპები (გერმანია, იტალია) — 5000
ევროპის თასი (ხორვატია) — 6591
**სულ 26612, ვალი 5417**

**12. სამბო**
ევროპის ჩემპიონატი (ბულგარეთი) — 20000

**13. ძალოსნობა**
შეკრება (ფასანაური) — 9810
შეკრება (პოლონეთი) — 11914
ევროპის ჩემპიონატი (სლოვაკეთი) — 7437
შეკრება (ცხვარიჭამია) — 4200
**სულ 33361, ვალი 1542**

**14. მძლეოსნობა**
ევროპის ჩემპიონატი (პორტუგალია) — 1 სპორტსმენი — 1950
საქართველოს ჩემპიონატი — 6125
საქართველოს ჩემპიონატი მარათონში და თბილისის გარბენი — 2500
ევროპის გუნდური ჩემპიონატი (ლატვია) — 16000
მსოფლიო ჩემპიონატი (კანადა) — 10000
**სულ 36575, ვალი 17350**

**15. წყლის სახეობები**
საერთაშორისო ტურნირი (საბერძნეთი) — 3000
**ვალი 6155**

**16. ნიჩბოსნობა**
საერთაშორისო შესატანი — 2668
ტურნირი (პოლონეთი) — 4433
**სულ 7101**

**17. თანამედროვე ხუთჭიდი**
მსოფლიო თასის ეტაპები (გერმანია, უნგრეთი) — 5000
**ვალი 6089**

**18. მკლავჭიდი**
საქართველოს ჩემპიონატი — 10002

**19. კიკბოქსინგი**
მსოფლიო ჩემპიონატი (საბერძნეთი) — 1620

**20. ბეისბოლი**
ევროპის კონგრესში მონაწილეობა (გერმანია) — 1500
**ვალი 4753**

**21. შაში**
საწევრო შესატანი — 646

**22. ფარიკაობა**
საწევრო შესატანი — 2090

**23. მაგიდის ჩოგბურთი**
საწევრო შესატანი — 623

**24. უნივერსიადა - 9250**
**ვალი 4480**

**ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები - 7978**

***შენიშვნა:*** ჩამონათვალში არ შედის მოჭიდავე პოლოსიანზე გაცემული 4900 ლარი, ვეტერან სპორტსმენების დახმარება 23 ათასი ლარი, პერსპექტიულ და ახალგაზრდა სპორტსმენთა დამატებითი კვება — 58 ათასი ლარი, აგრეთვე, ხელფასები და კომუნალური ხარჯები.

## მატიანე 50 წლის წინათ

***ტყვარჩელი.*** ტყვარჩელისა და სოხუმის სამატჩო შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში დასრულდა სოხუმელთა გამარჯვებით (ლ. პიმენიძე).

***ბათუმი.*** საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში, გამარჯვება მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა, მეორე იყო ქუთაისის, მესამე — თბილისის მეორე ნაკრები. თავიანთ წონებში უძლიერესები იყვნენ: ლ. ახინიანი, კ. ინასარიძე, თ. კიკნაძე, რ. ძნელაძე, ბ. ჩეჩელაშვილი, ზ. ბექაური, ფ. მუჯირიშვილი (ყველა — თბილისი), ანასტასიადი (ბათუმი).

***ზუგდიდი.*** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ქალაქის №2 ვაჟთა და ქალთა №2 სკოლებში, სამასწავლებლო ინსტიტუტში მოეწყო ახალი სპორტული ბაზები (ბ. ალშიბაია).

***ფოთი.*** ბათუმისა და ფოთის მოკრივეთა შორის ჩატარდა სამატჩო საპასუხო შეხვედრა. ბათუმში გაიმარჯვეს მასპინძლებმა 6:2, ამჯერად შეხვედრა ფოთში ფრედ 4:4 დასრულდა (ა. ჯგუბურია).

***თელავი.*** რაიონის სპორტკომიტეტმა ჩაატარა ქალთა სწრაფლაშქრობა 18-კილომეტრიან მარშრუტზე (გ. ელიოზიშვილი).

***ქუთაისი.*** სოხუმისა და ქუთაისის მოკრივეთა საპასუხო შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა. ადრინდელ შეხვედრაში შინ სოხუმელებმა იმარჯვეს (მ. კიკიტელაშვილი).

***ახმეტა.*** სოფ. დუისის საშუალო სკოლაში მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიელი (ვ. ყუშიტაშვილი).

## *საერთაშორისო სემინარი*

# დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოც ერთვება



*თამაზ თევზაძე*

**სპორტში ანტიდოპინგურმა მოძრაობამ მთელი მსოფლიო მოიცვა. გახსოვთ ალბათ, სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე არჩევისთანავე, ჟაკ როგმა თავისი სამოქმედო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა დოპინგის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. უპირველესად ამ აქციაში იგულისხმება ათლეტთა ჯანმრთელობის გაფრთხილება და, რაღა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია სამართლიანი თამაშის პრინციპების დაცვა — შეუძლებელია ერთი სპორტსმენი მეორეს ჯაბნიდეს ანაბოლიკების მიღების ხარჯზე.**

**დოპინგის წინააღმდეგ წამოწყებული საყოველთაო ლაშქრობის ღონისძიებათა კომპლექსი ამ სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის როლსაც ითვალისწინებს. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ სახელმწიფო სტრუქტურები ერთვებიან ამ პროცესში. საყოველთაოდ ცნობილია ევროკავშირის მეტად აქტიური პოზიციაც.**

**სემინარი, რომელიც ახლახან ჰელსინკში ჩატარდა, სწორედ ზემოხსენებულის პრაქტიკაში რეალიზაციის დაწყებას ისახავდა მიზნად. სემინარი ევროკავშირის სპორტის კომისიისა და ფინეთის განათლების სამინისტროს ერთობლივი ეგიდით მოეწყო. სემინარზე მიიწვიეს ევროპის ქვეყნების და ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ამჯერად დამოუკიდებელი ქვეყნების ორ-ორი წარმომადგენელი, გარდა რუსეთისა. განიხილეს თემა: „ერთობლივი მოქმედება და საგანმანათლებლო საკითხები სპორტში დოპინგის წინააღმდეგ". დელეგაციის თითო წარმომადგენელი პოლიტიკური ასპექტის საკითხებზე შეიკრიბნენ, ექიმები კი პრობლემის წმინდა სამედიცინო მიმართულებას განიხილავდნენ.**

**საქართველოდან სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ევროსაბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის ექსპერტ-დელეგატი, საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი *თამაზ თევზაძე* და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი *ზურაბ კახაბრიშვილი*.**

**გთავაზობთ ინტერვიუს თამაზ თევზაძესთან.**

● ***ბატონო თამაზ, რა პრინციპით შეირჩა ფინეთი სემინარის მასპინძლად?***

— ჯერ ერთი, სემინარი აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო ქვეყანაში, რომელიც ევროკავშირის წევრია, მეორე — ფინეთს დიდი გამოცდილება და ტრადიცია გააჩნია დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქმე ისაა, რომ სწორედ ჰელსინკშია სოკ-ის მიერ პირველი აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც ამ პრობლემებს იკვლევს.

● ***სემინარიც ფინელებმა ჩაატარეს?***

— ძირითადად არა, მოწვეულნი იყვნენ გამოცდილი ექსპერტები შვედეთიდან, ჰოლანდიიდან, ირლანდიიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან.

პირველ დღეს ყველა ერთად შევიკრიბეთ, სადაც განვიხილეთ თანამშრომლობის იურიდიული ასპექტები დოპინგთან მიმართებაში, აგრეთვე საბაჟოებისა და პოლიციის როლი დოპინგის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

● ***კი მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ჩვენთვის საამისოდ საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს. ვთქვათ, საქართველოში ტარდება საერთაშორისო მასშტაბის დიდი შეჯიბრება, საბაჟოზე ხომ ვერ ჩამოართმევენ სპორტსმენებს, თუნდაც ექიმს, იმ პრეპარატებს, რომლებიც ნარკოტიკებს შეიცავს. უბრალოდ, სტუმრები იტყვიან, რომ ეს სამკურნალო პროფილაქტიკური წამლებია, საბაჟოს კი არ გააჩნია სპორტსმენთათვის აკრძალული პრეპარატების ჩამონათვალი, ასე რომ, არანაირი იურიდიული უფლება არ აქვს ჩვენს საბაჟოს და პოლიციას საქმეში ჩაერიოს...***

— გინდათ თქვათ, რომ რა აზრი ჰქონდა ასეთ შემთხვევაში სემინარში ჩვენს მონაწილეობას?

● ***თუნდაც...***

— გეტყვით, რომ საკანონმდებლო ბაზა აუცილებლად გვექნება, საამისო მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ჩვენი მონაწილეობა იმითაც იყო აუცილებელი, რომ უფრო სრულყოფილი კანონპროექტის შექმნაში შევიტანთ ჩვენს წვლილს, ამასთან, ჩვენ უკვე მომზადებულები ვიქნებით კანონის მოთხოვნების შესასრულებლად. როცა კანონი გვექნება, სემინარს ცალკე ხომ არ ჩაატარებენ ჩვენთვის. ახლა უკვე სხვათა გამოცდილება ვიცით. ეს ცოტას არ ნიშნავს.

● ***თქვენი ლოგიკა დამაჯერებელია, დავუბრუნდეთ სემინარს...***

— პირველი დღის შემდეგ ჯგუფებად დავიყავით. ზურაბი სპეციალისტებთან ერთად განაგრძობდა მუშაობას, მე, ასე ვთქვათ, "პოლიტიკოსებთან". ბოლოს ყველანი ერთად ზემოხსენებული ლაბორატორიის მუშაობასაც გავეცანით.

● ***რაიმე ახალი თუ ითქვა?***

— ჩვენთვის, დამეთანხმებით, ყველაფერი ახალი იყო.

● ***მხედველობაში მაქვს, საერთოდ, რა იყო ახალი, რით დარჩება ისტორიაში ეს სემინარი?***

— ამ მხრივ ნამდვილად საყურადღებო დოკუმენტი შეიქმნა — მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შეუნელებელი ბრძოლა დოპინგის წინააღმდეგ. შევთანხმდით და საგანგებო გადაწყვეტილებაც მივიღეთ, ასეთი სემინარები უნდა ჩატარდეს რეგიონებშიც, ვთქვათ კავკასიის რეგიონში. დოკუმენტში პირდაპირ ჩაიწერა, რომ რეგიონალური სემინარები გაიმართოს ცენტრალური და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, აგრეთვე, კავკასიასა და ბალკანეთში. ამასთან, გათვალისწინებულია რეგიონული მიზნობრივი სპეცკურსები — მაგალითად, მწვრთნელებისთვის, ექიმებისთვის, დოპინგკონტროლზე მომუშავე სპეციალისტების, სპორტის ფუნქციონერებისთვის და ა.შ.

მინდა ისიც გითხრათ, რომ გააქტიურდეს საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ვიზიტები, ღრმავდება ურთიერთობები ევროკავშირთან, სოკ-თან, მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან (VADA).

● ***კონკრეტულად ხომ არ დასახელებულა კავკასიის რეგიონში სემინარის ჩატარების ვადა?***

— არა, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

● ***ჩვენზეო, რომ ამბობთ, ალბათ გულისხმობთ, რომ რეგიონალური სემინარი აუცილებლად საქართველოში ჩატარდება?***

— დიახ, ეს ასეა.

● ***ჩვენზე რა არის დამოკიდებული?***

— ასეთ თავყრილობას სათანადო მომზადება უნდა, როცა ვაცნობებთ, რომ მზად ვართ, ვადებსაც დაადგენენ ჩვენთან შეთანხმებით, ცხადია, მოავლენენ ექსპერტ-სპეციალისტებს.

● ***გამოდის რომ, ძალზე საინტერესო და საჭირო სემინარში მივიღეთ მონაწილეობა...***

— არა მხოლოდ ჩვენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ღონისძიება, საერთოდ, პირველად ჩატარდა, დამეთანხმებით, რომ სემინარი ყველასთვის მნიშვნელოვანი იყო.

ესაუბრა **თ. თომაშვილი**

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



## მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

ოლიმპიური თამაშების შემდეგ, იქვე, ჰელსინკში, საჩვენებელი გამოსვლებისათვის მიწვევა მიიღეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა თითქმის ყველა ქვეყნიდან. არჩევანი, შინ დაბრუნებისთანავე, პოლონეთზე შეჩერდა. მაშინ ასეთ საკითხებსაც პოლიტიკოსები წყვეტდნენ. ძნელი სათქმელია, რატომ პირველი გასვლა მაინცდამაინც პოლონეთში? ერთი კია, ამის შემდეგ ნაკრები ავსტრიაში უნდა ჩასულიყო. ეს ქვეყანა კი ომისშემდგომ წლებში, თვით ვენაც, დაყოფილი იყო გამარჯვებული სახელმწიფოების ზონებად.

აგვისტოში თამაშები დამთავრდა, ცოტა ხანში უკვე ვარშავაში ჩავიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები. იქ და კრაკოვში გამოდიოდნენ ღია არენებზე, მეტწილად სტადიონზე. პოლონეთს იმ ხანებში ჰყავდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალი ელენ რაკოჩი, ოლიმპიადის წინა წლის მსოფლიო ჩემპიონი. საბჭოთა ტანმოვარჯიშეები მაშინ მსოფლიო ჩემპიონატებში არ მონაწილეობდნენ. მასპინძლებმა რაკოჩის გამოსვლაც ჩართეს პროგრამაში, რამაც კიდევ უფრო აამაღლა ინტერესი საჩვენებელი გამოსვლებისადმი. ხალხი იმდენად კმაყოფილი იყო, საბჭოთა ელჩმა პოლონეთში, მიხაილოვმა ჩვენს დელეგაციას კიდევ ათი დღით სთხოვა დარჩენა.



*ვარშავა, 1952 წ. მზია ჯუღელი სტადიონზე გამოსვლისას*

***მზია ჯუღელი:*** „ვერ გეტყვით, რომ სიხარულით მივიღეთ ეს თხოვნა. მრავალი გამოსვლით, მათ შორის კრაკოვშიც, იმდენად გადაღლილები ვიყავით, რომ ყველას ერთი სული გვქონდა უკან დავბრუნებულიყავით. მე ხომ შინ პატარა შვილიც მყავდა დატოვებული. რას ვიზამდით. თხოვნა ეს ისე, ურთიერთობის დელიკატური ფორმა იყო თორემ, ჩვენს სურვილს ვინ მიიღებდა მხედველობაში. მოკლედ, თხოვნის სახით გვიბრძანეს და მორჩა“...

მერე პოლონელებმა თავიანთი ვაჟი ტანმოვარჯიშეებიც ჩართეს საქმეში. მართალია ეს არ იყო შეჯიბრება, მაგრამ ხალხი ხომ ხედავდა, ვინ როგორ ოსტატობას ავლენდა. მაყურებელს განსაკუთრებით ტაიჭზე შაგინიანისა და ლავრუშენკოს გამოსვლები აოცებდა.

ერთობლივი დასკვნითი საჩვენებელი გამოსვლა ვარშავაში შედგა ათასობით მაყურებლის თვალწინ. შინ დაბრუნებულები კი გააფრთხილეს შეენარჩუნებინათ სპორტული მომზადების დონე, რადგან წინ ელოდათ „გასტროლები“ ავსტრიაში.

ავსტრიაში, ეს უკვე 1952 წლის დეკემბერია, საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა უძლიერესი შემადგენლობა გაემგზავრა. საქართველოდან მზია ჯუღელთან ერთად, დელეგაციაში ჩართეს სერგო ჯაიანი. ვენაში ჩავიდნენ 11-ში, უკვე მეორე დღესვე ოფიცერთა სახლში იყო დანიშნული პირველი გამოსვლა. 13-ში ქალაქ სტეფილდში გამოდიოდნენ, 14-ში სანკტ-ელტერში, 15-ში – შტაიერში, 16-ში – ლინცში. ეს უკანასკნელი ამერიკელთა ზონა იყო და გარკვეული მოსაზრებით საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად, სარბიელზე ავსტრიელებიც გამოიყვანეს. პირთამდე იყო სავსე 800 კაციანი დარბაზი. 18-შიც ერთობლივი გამოსვლა ჰქონდათ. მხოლოდ ერთი დღე დაასვენეს სპორტსმენები. შემდეგ იყო ქ. გრაცი-ინგლისის ზონა. არავინ იცის რა ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ ტერორისტები მაშინ ჯერ კიდევ ბოგინობდნენ და დანიშნულ დღეს რადიოთი ამცნეს ხალხს, რომ გამოსვლა არ შედგებოდა. უკან ჩააბარებინეს ბილეთები. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ერთგვარი სატყუარა ყოფილა ტერორისტებისთვის.

***მზია ჯუღელი:*** „გამოვჩნდით თუ არა ქალაქში, რადიომ უმალვე მოუხმო ხალხს. თუმცა ერთი შემთხვევა მაინც მოხდა. სცენაზე ვიდექით, აჟღერდა საბჭოთა ჰიმნი და ამ დროს... ჩვენსა და მაყურებელს შორის ფარდა დაეშვა. ჰიმნი მაინც ჩამთავრდა. მომხდარის პროტესტის ნიშნად კი 3 ათასიანი დარბაზი ერთხმად აგუგუნდა.

ჩემი გამოსვლა ერთი უცნაური შემთხვევის გამო სათუო გახდა. მოთელვაზე სერგო ჯაიანმა ფეხი აიქნია, მე მის უკან ვიდექი და ვერ შემნიშნა, ფეხი მარცხენა ხელის ცერზე მომხვდა, მოდუნებული ვიყავი და ტრავმაც ამიტომ მივიღე. სასწრაფოდ წამიყვანეს ამერიკელთა ზონაში, იდაყვიდან მთელ ხელზე დამადეს თაბაშირი – ცერის ძვალი იყო გატეხილი. საშინელი ტკივილი მაწუხებდა. ახლა საბჭოთა ზონაში წამიყვანეს, იქ თაბაშირი მთლიანად მომხსნეს, დატოვეს მხოლოდ დაზიანებულ თითზე. არც მეგონა თუ გამოვიდოდი არენაზე, უცებ გამომიძახეს. გავედი. განსჯის დროც აღარ იყო. საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ მოვარჯიშეები. რგოლები სცენაზე ისე იყო მოწყობილი, ქანს პირდაპირ მაყურებელთა თავზემოთ ვასრულებდით – დახტომს, ცხადია, სცენაზე...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49, 51, 53, 55, 58, 60, 61, 64, 66, 68.*

*გაგრძელება იქნება*

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

*კალათბურთი*

## ევროპის ჩემპიონატი

თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები კალათბურთში.

***გერმანია — საფრანგეთი 81-77***

გერმანია: ნოვიცკი (32), ფერმერლინგი (12)

საფრანგეთი: ფუარესტი (23), სკიარა (12), ბილბა (11)

ამ შეხვედრაში, ისე როგორც მთელ ჩემპიონატში, შესანიშნავად ითამაშა დირკ ნოვიცკიმ, რომლის 32 ქულამ გამარჯვება მოუტანა გერმანელებს.

***თურქეთი — ხორვატია 87-85 (დ.დ.)***

თურქეთი: ტურკანი (20), ტურკოგლუ (16), ოკიური (16), კუტლუაი (16)

ხორვატია: გირიჩეკი (28), მულაომეროვიჩი (22), კოვაჩიჩი (14).



## ნბა-ს ორი ახალი შენაძენი

„სიეტლის“ კლუბის ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა კონტრაქტს ორ კალათბურთელთან. ესენი არიან ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელები პრედრაგ დრობნიაკი და ჯერომ ჯეიმსი. კლუბის მენეჯერის თქმით ორივე კალათბურთელმა ძალიან მოაწონა თავი „სიეტლის“ ხელმძღვანელობას საწვრთნელ ბანაკში ყოფნისას.

დრიბნიაკი ამჟამად იუგოსლავიის ნაკრებში თამაშობს ევროპის ჩემპიონატში.

## ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი







გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია სამპრას — აგასის შეხვედრამ. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა სამპრასმა, რომელიც ნახევარფინალში შეხვდება საფინს, რომელმაც თავის მხრივ სძლია ზაბალეტას.

ქალთა წყვილებში დიდი ინტერესით მოელოდნენ ს. უილიამსისა და დევენპორტის შეხვედრას. მატჩმა გაამართლა მაყურებელთა იმედები, სამ სეტში გაიმარჯვა ს. უილიამსმა.

***გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს:***

***ვაჟები:***

***სამპრასი (10)*** — აგასი (2) 6:7, 7:6, 7:6, 7:6

***საფინი (3)*** — ზაბალეტა 6:4, 6:4, 6:2

***როდიკი (18)*** — რობრედო 6:2, 6:2, 6:4

***კაფელნიკოვი (7)*** — კლემენტი 6:3, 6:4, 6:3

***ჰიუიტი (4)*** — ჰაასი (16) 3:6, 7:6, 6:4, 6:2

***ქალები:***

***კაპრიატი (2)*** — მორესმო (8) 6:3, 6:4

***ვ. უილიამსი (4)*** — კლისტერსი (5) 6:3, 6:1

***ს. უილიამსი (10)*** — დევენპორტი (3) 6:3, 6:7, 7:5

***ჰინგისი (1)*** — ბედანოვა 6:2, 6:0



## ახალი რეკორდით

**რუსეთელმა მძლეოსანმა ოლიმპიადა ივანოვამ (სურათზე) სიდნეიში კეთილი ნების თამაშებზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სპორტულ სიარულში. 20 კმ მან 1 საათსა, 26 წუთსა და 52,3 წამში დაფარა, რაც თითქმის სამი წუთით აჭარბებს ძველ რეკორდს.**

# მრავალნომინაციანი შუმი

**«ფორმულა 1»**

გასულ შაბათს 32 წლის „ფერარის“ გუნდის წევრმა, გერმანელმა მიხაელ შუმახერმა „ფორმულა-1“-ის ისტორიაში ღირსშესანიშნავი ადგილი დაიკავა მარტო იმიტომ კი არა, რომ კიდევ უფრო განიმტკიცა ფაქტობრივად წინა, უნგრეთის გრან-პრიზე მოპოვებული მეოთხე ჩემპიონობა და „გრან-პრის“ მოგებათა რაოდენობითაც „მოხსნა“ ფრანგ ალენ პროსტის რეკორდი, არამედ „ფერარის“ ისტორიაში მეორე მრბოლი გახდა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ზედიზედ მოიგო ჩემპიონის ტიტული და 8 რბოლა ერთ სეზონში. ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ოთხგზის ჩემპიონმა უპასუხა კორესპონდენტის რამდენიმე კითხვას:

● ***წლევანდელი სეზონი თქვენთვის არც თუ დაძაბული გამოდგა. ასეთ გამარჯვებას ნაკლები კმაყოფილება უნდა ახლდეს?***

— სულაც არა. გვარიანად მანერვიულებდა კულტჰარდი: იგი რბოლას რბოლაზე იგებდა და საერთოდ ძალზედ სტაბილურად გამოიყურებოდა. და „მაკლარენის“ წარუმატებლობა რომ არა, შეიძლება, ჩვენ სეზონის ფინიშამდე ჩემპიონობისათვის გვებრძოლა. თითქმის ყოველ რბოლაში დიდი დაძაბულობა იყო.

● ***მეოთხე საჩემპიონო ტიტულს წინა სამს თუ შეადარებდით?***

— ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. თითოეული ამ გამარჯვებათაგან თავისებურად ლამაზი იყო, ისევე, როგორც ყველა გამარჯვება რბოლაში. მათი შედარება არ შეიძლება.

● ***გაიხსენეთ თქვენი პირველი გამოსვლები – ფიქრობდით, რომ მისწვდებოდით ასეთ სიმაღლეებს?***

— არა, რა თქმა უნდა „ფორმულა-1“-91 ჩემი პირველი რბოლა იყო — მიმაჩნდა, რომ სადღაც შუაგულში აღმოვჩნდებოდი. ეს იყო ჩემი მიზანი.

● ***როგორ გგონიათ, მას შემდეგ ალენ პროსტს რომ გაუსწარით მოგებული „გრან-პრის“ რაოდენობაში, რა ხასიათზე იქნება იგი ახლა?***

— თუ თვით ალენს დავუჯერებთ, გაწბილებული არ უნდა იყოს, ვინაიდან ჰუნგარორინგზე გამოსვლამდე, ერთი დღით ადრე, შემთხვევით შევეფეთე, და მითხრა: „თუ შეიძლება მოიგე ეს რბოლა. უკვე მომბეზრდა პასუხის გაცემა ერთი და იმავე კითხვაზე, იმის შესახებ თუ ბოლოს და ბოლოს როდის მოხდება ეს...“ ვუპასუხე რომ მეც შენს დღეში ვარ. თავისთავად ცხადია, როცა „ფორმულა-1“-ში მოვედი, ყველა დიდი პილოტი განსაკუთრებულ ხალხად მიმაჩნდა. იმდენად, რომ არცა ვცდილვარ შევდარებოდი მათ. მაგრამ უკვე მეორე რბოლაში, მონცში, სადაც ურიგოდ არ გამოვსულვარ სხვების ფონზე, აზრად მომივიდა: „კი, რაც მეგონა იმაზე უკეთესი ვყოფილვარ: იქნებ, მალე დავეწევი ყველა სუპერვარსკვლავს. მე, რა თქმა უნდა, თაყვანს ვცემ ალანს და გარკვეულწილად ბედნიერი ვარ, რომ გავაუმჯობესე მისი მიღწევა.




● ***რას იზამთ ახლა, როცა სეზონის ბოლომდე ორიოდე რბოლაღა დარჩა?***

— განვაგრძობ მოგებებს. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი „გრან-პრის“ მოგება. ყოველი მომავალი რბოლა — ახალი გამოწვევაა. თუ შეცდომა დავუშვი, აღარავის გაახსენდება, რა მშვენიერი იყო ჩემი გამოსვლა, ვთქვათ, უნგრეთში: ყველა იტყვის: „რა სულელური შეცდომა მოგივიდა!“

● ***შეძლებთ გააუმჯობესოთ მანუელ ფანხიოს მიღწევა, რომელმაც ჩემპიონის ხუთი ტიტული მოიპოვა?***

— ასეთ მიზანს არ ვისახავ და არა მგონია, რომ შეიძლება ამის მიღწევა. რაც მან შეძლო „ფორმულა-1“-ში, განუმეორებელია. მას საერთოდ, ვერავინ შეედრება. გაიხსენეთ უშიშროების რა ტექნიკა იყო მაშინ, ან როგორი მანქანებით ეჯიბრებოდნენ მრბოლები ერთმანეთს?! ნებისმიერი შედარება ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნება.

● ***რატომაა, რომ თქვენი მიღწევების მქონეს, არიან ადამიანები, რომლებიც დიდი პილოტების რიგში არ მიგიჩნევენ ადგილს?***

— ყველას აქვს უფლება თავისი აზრი ჰქონდეს. ეს სავსებით ნორმალურია.

# 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

გულშემატკივარი მეორე საშინაო მატჩშიც დაკმაყოფილდა. ლიტველებთან პაექრობის საცქერლად გაცილებით მეტი მაყურებელი მოვიდა და არც შემცდარან. ეროვნულმა ნაკრებმა კვლავ გამოაჩინა კლანჭები და მოიგო. კარგი იქნებოდა ეროვნულ გუნდს თავისი სრული პოტენციალი ადრეც გამოევლინა, ამის წინაპირობა ნამდვილად იყო, მაგრამ რას იზამ, ამჯერად მცირედით დავკმაყოფილდეთ და ის უნდა ვიკმაროთ, რაც გვაქვს, და, რაც დავიმსახურეთ. უნგრელების საშინაო მარცხით რუმინელებთან ჩვენი ოცნებებიც და შანსებიც გაქრა, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება. ციკლი ჩასამთავრებელია, პრესტიჟი დასაცავი, ოცნება და ფიქრი კი მომავლის საქმეა.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

*5. სექტემბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 10. 000 მაყურებელი.*

**საქართველო — ლიტვა 2–0**

# თავი გამოიდო, და მერე როგორ...

**საქართველო:** გვარამაძე, ლ. კობიაშვილი, ხიზანიშვილი, საჯაია, კალაძე, ცქიტიშვილი, ნემსაძე, ალექსიძე (ბურდული 67), იაშვილი (შ. არველაძე 90), ქინქლაძე, ყაველაშვილი (დემეტრაძე 46).
**ლიტვა:** სტაუჩე, ჟუკსტასი, სტანკევიჩუსი, გლევეცკასი, სკარბალიუსი, მორინასი, ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, შემბერასი, რაჟანაუსკასი (იანკაუსკასი 87), პოშკუსი.
***გოლები:*** 1-0, 2-0 იაშვილი (82,84)
***გააფრთხილეს:*** პოშკუსი, მიკალაიუნასი, ჟუტაუტასი
***მსაჯები:*** პ. იაკოვი, შ. ოსადონი, ე. ჰატუკა, მ. ლევი (ყველა — ისრაელი)
***ფიფას დელეგატი:*** უ. მიულერი (შვეიცარია)

ილბლიანი და იმედიანი გამოუვიდა ეროვნულ ნაკრებს საშემოდგომო ორმატჩიანი სერია. გუნდმა უნგრელებს და ახლა ლიტველებს ისე მოუგო, მის უპირატესობაში ეჭვი არავის შეპარვია. ნაკრებმა იბრძოლა კიდეც, ბურთიც შნოიანად გააგორა, ორ შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა და სატურნირო ცხრილში მადიარებს გადაასწრო. დიახ, მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის, უფრო სწორად, პლეი-ოფში გასვლის შანსი მხოლოდ თეორიული გვქონდა, მაგრამ ახალი მწვრთნელის გაწვრთნილ და თითქმის კარდინალურად შეცვლილ ნაკრებში ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსი ჰქონდათ. მათ კი არც მწვრთნელები, არც გულშემატკივრები გააწბილეს. ლიტველებთან მატჩამდე ნაკრებს პრობლემები მიეძალა. ტრავმირებულ შოთა არველაძეს და წინა მატჩში გაძევებულ რეხვიაშვილს ჯამარაულის მოწამვლაც დაერთო და გუნდს ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე გამოაკლდა. ყველაფერმა ერთად თამაშის სქემა ერთთავად, ცოტათი აირია, პრობირებული ტაქტიკაც შეიცვალა, თუმცა თითოეულ ფეხბურთელს ბრძოლის ჟინი ვერ მოუკლა. თავდასხმა კვლავ გოლზე იყო დაგეშილი, რაც მატჩის მიწურულს იაშვილის ორ გოლში აისახა. ფრაიბურგელი და „ესპანელი" დემეტრაძე ისევ საუკეთესონი იყვნენ გუნდში. ნახევარდაცვაში კარგად ირჯებოდნენ ქინქლაძე და ნემსაძე, შესამჩნევად გააქტიურდა კობიაშვილი. იყო ხარვეზებიც, აღარ იყო უწინდელივით ეფექტური ცქიტიშვილი, დაცვას სამი სახიფათო კონტრშეტევა გამოეპარა და უნდა ითქვას, ფორტუნამ დაგვიფარა, ნერვიულობდა გვარამაძეც. მაგრამ გადავრჩით. ლიტველები მთელი გუნდით იცავდნენ თავს, შეტევაში მარტოხელა პოშკუსის იმედი ჰქონდათ. დაცვაში ჩამჯდარი მეტოქის ძლევა გაგვიჭირდა, მატჩის დრო ილეოდა, გოლი კი არ ჩანდა. შეტევებიც ერთფეროვნად ვითარდებოდა, ფლანგებიდან ვეღარ ვუტევდით, მარტო საჯარიმოში ჩაწოდებებით და მაღალი ბურთისთვის ბრძოლით ფონს ვერ გავდიოდით, მეტოქეს თავით თამაშში ვერ ვჯობდით. აქ იაშვილმა გამოიდო თავი. მატჩის მიწურულს ქართველთა ზეწოლა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ორი ხანგრძლივი იერიში წუთნახევრის ინტერვალით მთავარი მწვრთნელის სეხნიამ გოლად აქცია. ჩივაძეს უპირველესად თავდამსხმელებმა გაუმართლეს. იმ რგოლმა, რომელსაც ცვლილებები ყველაზე მეტად შეეხო. მაჟორულ ნოტაზე დავასრულეთ სექტემბრის სანაკრებო კვირეული. ეროვნულმა გუნდმა ყველას დაუმტკიცა და უმთავრესად საკუთარ თავს, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლია.



*ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები*

*მატჩის შემდეგ...*



**მიხეილ საბახტარიშვილი**

---

<u>ერიჰაა!</u>

## დემეტრაძის და ქინქლაძის ბინები თბილისში გაძარცვეს

ისევ საგანგებო მდგომარეობა, ისევ აღვირახსნილი თავხედობა. მაშინ, როცა ქართული ფეხბურთი ხარობდა, მის შვილებს ძარცვავდნენ და არბევდნენ. მორიგი აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა გუშინწინ. ქურდბაცაცებმა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების დემეტრაძისა და ქინქლაძის ბინები გატეხეს და გაძარცვეს.

ყოველივე ზურგში ლახვარის ჩაცემას ჰგავს, თუმცა ესეც რბილადაა ნათქვამი, ვერაფერს იტყვი, აფერუმ „ვაჟკაცებო !".

---

## ევროპელ დიაცებს ქართველი მსაჯები მიუჩინეს

8 სექტემბერს მინსკში ქალთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჩვენი არბიტრები გაუძღვებიან. სერგო კვარაცხელია, მამუკა ელიკაშვილი და გურამ ჩიგოგიძე ბელარუს — სლოვაკეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრისას იქაურ ქალებს საფეხბურთო ოსტატობას და დისციპლინას შეუფასებენ.

---

## შინ დავბრუნდეთ

**საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

მეტნაკლები წარმატებით გავასრულეთ სანაკრებო კვირეული, ევროტურნირები, კარგახანია უჩვენოდ მიმდინარეობს. ასე, რომ დროა, შინაურ პირველობას დავუბრუნდეთ.

ეროვნული ჩემპიონატი სრული სახით წარმოგვიდგა.

უმაღლეს ლიგას, რანგის მიხედვით, მიჰყვნენ პირველი და რეგიონული ლიგები, თითქმის ყველგან გამოიკვეთა ლიდერები და აუტსაიდერები. შემოდგომის პირველ თვეში, ანუ სექტემბერში მატჩებიც გაცილებით ადრე, 17 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. სანახავიც და სალაპარაკოც ბლომად გვექნება. ჩემპიონატს, დღეს პირველი ლიგა მეხუთე ტურის მატჩებით განაახლებს. უმაღლეს ლიგაში მეექვსე ტურის მატჩები შაბათს დაიწყება და კვირას ერთი შეხვედრით დასრულდება. რეგიონულ ლიგაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში მესამე ტურის მატჩები ჩატარდება. ამას დაუმატეთ საქართველოს თასის საწყისი ეტაპის შეხვედრები და დარწმუნდებით აღსაქმელი და სამსჯელო მართლაც ბევრია. უფროსებს უმცროსებიც მიჰბაძავენ და კვირას მეორე წრის პირველი ტურით დაიწყება ბავშვთა ლიგის გათამაშებაც. ახლა კი გაგაცნობთ თითოეულის ანონსს და სატურნირო ვითარებას.

***7 სექტემბერი***

მერანი-2 — თორი
დინამო2 (თბ) — დილა
კოლხეთი (ხ) — ცხინვალი
ლოკომოტივი (სამტრ.) — ლაზიკა
ქობულეთი — თსუ
მილანი (წნ) — ლოკომ.-3.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ.. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დილა** | 4 | 4 | 0 | 0 | 14-1 | 12 |
| **ცხინვალი** | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| **ქობულეთი** | 4 | 3 | 0 | 1 | 3-4 | 9 |
| **მილანი (წნ)** | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| **ლაზიკა** | 4 | 2 | 1 | 1 | 5-8 | 7 |
| **თსუ** | 4 | 2 | 0 | 2 | 4-2 | 6 |
| **კოლხეთი (ხ)** | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| **ლოკომ. (თბ)** | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| **დინამო2(თბ)** | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| **მერანი-2** | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| **ლოკ.(სამტ)** | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |
| **თორი** | 4 | 0 | 0 | 4 | 1-13 | 0 |

---

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

## ახალგაზრდული გაახალგაზრდავდა

UNDER 21 Championship

*4 სექტემბერი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 3.000 მაყურებელი.*

**საქართველო — ლიტვა 4–1**

**საქართველო:** ლომაია, სვანაძე, (თედორაძე 69;), კანდელაკი, სალუქვაძე, კაკაშვილი, ამისულაშვილი, ადამია (წუწუნავა 89), ასათიანი, დეკანოსიძე (ინწკირველი 90), ახალკაცი, ბობოხიძე.
**ლიტვა:** რამონასი, კლიმავიჩიუსი, ალუნდერისი, ზელმიკასი, იოკსასი, ლემეჟისი, რინგისი (მიტეიკა 55), გრიგასი (ბენიუსისი 29), ჩესნაუსკისი, პოუტკალისი, საულენასი (კარალიუსი 54).
***გოლები:*** 1-0 ადამია (7), 2-0 დეკანოსიძე (26), 2-1 პოუტკალისი (28), 3-1 ადამია (43), 4-1 ასათიანი (50).
***გააფრთხილეს:*** ამისულაშვილი, ბობოხიძე, დეკანოსიძე: ალუნდერისი, ლემეჟისი, პოუტკალისი, კარალიუსი.
***გააძევეს:*** ამისულაშვილი, ბობოხიძე.
***მსაჯები:*** ნ. ივანოვი, ე. ვოლნინი, ს. კუდრიავცევი, ა. ევსტიგნეევი (ყველა — რუსეთი)
***უეფას დელეგატი:*** რ. ვალენტაინი (შოტლანდია).

ნათქვამია, შეცდომებზე სწავლობენო. ასე დაემართა ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს. ლიტველ თანატოლებთან ბოლო საშინაო შესარჩევ მატჩში მწვრთნელებმა შესამჩნევად გადაახალისეს გუნდი და თამაშიც აეწყო. უნგრელებთან მატჩის შემდეგ, კოპალეიშვილმა განაცხადა, რომ ნაკრებს შესამჩნევად შეცვლიდა და ასეც მოხდა. გუნდში 19-20 წლის ყმაწვილები, ძირითადად ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები მიიწვია და არც შემცდარა. გემახსოვრებათ, ინტერტოტოს თასზე „ვიტ ჯორჯიამ" ათი კაცით მოუგო ავსტრიულ „რიდს", მერე ეროვნულმა კაცნაკლულმა ნაკრებმა დაიფრინა უნგრელები, ახლა ეს ახალგაზრდულმაც შეძლო. საინტერესო, ჩინებულ ტრადიციას ეყრება საფუძველი. თურმე, არც ისე საშიშია არასრული შემადგენლობით თამაში და ეს ქართველებსაც შეგვძლებია.

თვით შეხვედრა ჩახლართული სცენარით განვითარდა. ქართველები უკვე დასაწყისში დაწინაურდნენ. ამისულაშვილის გამჭოლი, ზუსტი პასი ადამიამ კარგად მოირგო, უზადოდ შესრულებული ფინტით მცველი „პირლია" დატოვა და რამონასს აულებელი ბურთი დაურტყა. საგოლე პასს შემდგომი ხუთი წუთის განმავლობაში ამისულაშვილმა ზედმეტი თავგამოდება მიაყოლა, უხეშობისთვის ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურა და მინდვრიდან მიაბრძანეს. ათი კაცით დარჩენილმა მასპინძლებმა კვლავ შეუტიეს მეტოქეს და მარჯვენა ფლანგზე



საჯარიმო დაიმსახურეს, რომელიც ასათიანმა და დეკანოსიძემ შესანიშნავად გაითამაშეს და გოლად გარდასახეს. ფიურტელმა მოჭრილი დარტყმით მეორედ აიღო ლიტველთა კარი. გოლს ახალკაცმა 20-25 მეტრიდან ძლიერი დარტყმა მიაყოლა, ბურთი ხარიხას მოხვდა. რამდენიმე წუთში სტუმრებმა ერთადერთი ხეირიანი კომბინაცია გაითამაშეს, ლემეჟისის ჩაწოდებულს პოუტკალისმა თავი შეაგება და ერთი გოლი გაქვითა. თამაში მცირე ხნით ჩაწყნარდა. მერე ლომაიამ იყოჩაღა. ბურთი ძლიერი დარტყმით მეტოქის საჯარიმოსკენ გაგზავნა, მცველმა ზელმიკასმა ბურთი უხეიროდ მოიგერია. ადამიამ უმალ ისარგებლა საჩუქრით და სტატუსკვო აღადგინა. სამ წუთში რუსმა არბიტრმა ივანოვმა მასპინძლები სულაც ცხრა ფეხბურთელით დატოვა მინდორზე. ამისულაშვილის ბედი ბობოხიძემ გაიზიარა და ტაიმიც დამთავრდა. მასპინძლებმა ორმოცდახუთ წუთში შესაშური სიზუსტე გამოიჩინეს. ლიტველთა კარში ოთხჯერ დაარტყეს და სამი გოლი გაიტანეს. მეორე ტაიმში თითქოს მთლიანად უპირატესობას სტუმრები უნდა დაუფლებოდნენ, მაგრამ უსუსურმა და მოუქნელმა ლიტველებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მეოთხე გოლიც გაუშვეს, მოკლედ, ასათიანისა და ადამიას შეტევებს ვერაფრით გაუმკლავდნენ. ადამია-სვანიძის წამოწყებული შეტევა ასათიანმა გააგრძელა, იგი საჯარიმოში შეიჭრა, ორი მცველი ჩამოიცილა და გაიტანა. 4-1-ს ბალტიისპირელები ნამდვილად ვეღარ გააბათილებდნენ და ქართველმა ოლიმპიელებმაც შესარჩევ ციკლში პირველი გამარჯვება მოიპოვეს. კოპალეიშვილმა ძირითადი შვიდი ფეხბურთელი შეცვალა. სახეცვლილებამ გუნდს ნამდვილად არგო. ნაკრების გაახალგაზრდავება, ალბათ აქედან დაიწყება. ეგებ, ახალ თაობას მეტი იღბალი, დაოსტატებისა და წინსვლის სურვილი აღმოაჩნდეს.

*სურათზე: ამ მატჩში გიორგი ადამიამ დუბლი შეასრულა.*

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.*

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# მსაჯები, ინსპექტორები

## უმაღლესი ლიგა, VI ტური

**8-9 სექტემბერი**

***ლოკომოტივი — დინამო (თბ):*** მთავარი მსაჯი ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები მიქელაძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი ორდინიძე, ინსპექტორი ა. დურსუნიში.

***სამგურალი — მეტალურგი:*** მთავარი მსაჯი დ. სანაია, ასისტენტები ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი გ. ძამუკაშვილი.

***ტორპედო — დინამო (ბთ):*** მთავარი მსაჯი ა. მეშკოვი, ასისტენტები დოლიძე, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი კრიჭაშვილი, ინსპექტორი გ. ფირცხალავა.

***კოლხეთი 1913 — გორდა:*** მთავარი მსაჯი ა. შალამბერიძე, ასისტენტები გაბრიაძე, ბუიშვილი, მეოთხე მსაჯი მალალურაძე, ინსპექტორი მ. ლაცაბიძე.

***გურია — სიონი:*** მთავარი მსაჯი დოგრაშვილი, ასისტენტები სილაგავა, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი კ. მესხი, ასისტენტი ს. კუტივაძე.

***მერანი — ვიტ ჯორჯია:*** მთავარი მსაჯი კ. მესხი, ასისტენტები სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი მაისურაძე, ინსპექტორი ა. მილჩენკო.

**ტურის ყველა მატჩი, გარდა ერთისა, დაიწყება 17 საათსა და 30 წუთზე თბილისში. ლოკომოტივი — დინამოს მატჩი კი 20 საათზე.**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 5 | 0 | 0 | 14-0 | 15 |
| მერანი | 5 | 4 | 1 | 0 | 3-1 | 13 |
| დინამო (ბთ) | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| კოლხე.1913 | 5 | 3 | 0 | 2 | 11-7 | 9 |
| ლოკომოტ. | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| დინამო (თბ) | 5 | 2 | 1 | 2 | 9-5 | 7 |
| სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-10 | 6 |
| სამგურალი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-10 | 6 |
| გორდა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-11 | 4 |
| გურია | 5 | 0 | 1 | 4 | 3-9 | 1 |
| მეტალურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-16 | 0 |

# რეგიონული ლიგა

*9 სექტემბერი*

## აღმოსავლეთის ზონა. III ტური

ალაზანი — მესხეთი
გორდა 2 — ჯავახეთი
ვარძია — ცხუმი
ოლიმპიკი — ჭაბუკიანი
ვიტ ჯორჯია2 — კრწანისი
ზოოვეტი — მრეტები
ივერია — მერანი 3
დინამო 3 (თბ) — მაუდი
მესხეთი — ლიახვი
აკადემია — თბილისი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| ზოოვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| მცხეთა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ივერია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| ვარძია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ცხუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| აკადემია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ალაზანი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-5 | 3 |
| ლიახვი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ჭაბუკიანი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| გორდა-2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| მრეტები | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| მერანი-3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| მაუდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| დინამო-3 (თბ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| კრწანისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |
| მესხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| თბილისი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |
| ჯავახი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 | 0 |

## დასავლეთის ზონა. II ტური

*4 სექტემბერი*

საპოვნელა — დინამო (ზ) 2-3
ოკრიბა — მეტალურგი 0-1
ეგრისი — გურია2 0-0
გზები — სულორი 0-1
მალაროელი — სამეგრელო 1-0
ლუკა — დინამო (სოხ) 2-0
სალხინო — მერცხალი 1-3
ჩიხურა — დინამო2 (ბთ) 2-3



საირმე — ინტერი 1-0
სქური — კოლხეთი 1-0

### III ტური

კოლხეთი2 — საპოვნელა
ინტერი — სქური
დინამო 2 — საირმე
მერცხალი — ჩიხურა
დინამო (სოხ) — სალხინო
სამეგრელო — ლუკა
სულორი — მალაროელი
გურია2 — გზები
მეტალურგი2 — ეგრისი
დინამო (ზგ) — ოკრიბა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| სულორი | 2 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 6 |
| მალაროელი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| მეტალურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| დინამო (ზ) | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| საირმე | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| გურია2 | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| სქური | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| საპოვნელა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-1 | 3 |
| დინ.2 (ბთ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| სალხინო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ლუკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| სამეგრელო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-1 | 3 |
| დინამო (ს) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ეგრისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| კოლხეთი2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| ჩიხურა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |
| გზები | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| ოკრიბა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

საქართველოს თასი



# კენჭი ყარეს, გაითვალეს

**ხალხმრავლობა იყო გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში, თითქმის ყველა ლიგის მოასპარეზე გუნდების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ჩატარდა თასის 1/16 ფინალის კენჭისყრა და უმაღლესი და პირველი ლიგის კალენდარული შეხვედრების არბიტრები დაინიშნენ. მივყვეთ თანმიმდევრულად, დავიწყოთ სათასო წილისყრით.**



***9 სექტემბერი***
***შესარჩევი მატჩები***

ზოოვეტი — ჭაბუკიანი
მაუდი — ოლიმპიკი

***მეთექვსმეტედფინალი***
***12-26 სექტემბერი***

დილა — დინამო2 (თბ)
სიონი — ლოკომოტივი 3
გორდა — ცხინვალი
მილანი (წნ) — მერანი 91-2
მერანი 91 — ზოოვეტ-ჭაბუკიანს შორის გამარჯვებული
თსუ — მაუდი — ოლიმპიკს შორის გამარჯვებული
კოლხეთი 1913 — ლაზიკა
დინამო (ბთ) — სულორი
გურია — კოლხეთი2 (ფოთი)
სამგურალი — კოლხეთი (ხობი)
მეტალურგი — ლოკომოტივი (სამტრედია)
ქობულეთი — თორი.

***შენიშვნა: თასის გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაებმებიან ევროთასებზე მოასპარეზენი.***

# კლაუდიო ტაფარელი: ჩვიდმეტივე შვილთან ერთნაირი დამოკიდებულება მაქვს

**კლაუდიო ტაფარელი — ბრაზილიის ფეხბურთში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს ახლახან 35 წელი შეუსრულდა. ამ ასაკში მინდვრის მოთამაშეს დიდი ხნის წინათ ჩაწერდნენ ვეტერანთა სიაში, მაგრამ გოლკიპერისთვის 35 წელი კრიტიკული ასაკი არ არის, მეტიც, შესაძლებელია გაფურჩქვნის ხანაც იყოს. ეს მეკარე თითქმის ყველა დიდებას ეზიარა ფეხბურთში, ცხოვრება კი გრძელდება, სრულყოფას, როგორც ცნობილია, სამანი არ აქვს. ფეხბურთს მიღმა ტაფარელი საერთოდ შეიძლება ბრწყინვალე პიროვნებად ჩაითვალოს. თქმა იმისა, რომ ის ჩინებული მეოჯახეა, ზედმეტია...**

**კლაუდიო ტაფარელი.**
**დაიბადა 1966 წლის 5 აგვისტოს სანტა როზეში (ბრაზილია).**
***სიმაღლე*** **182 სმ. წონა 80 კგ.**
***კლუბები:*** **„ინტერნასიონალი" (1984-1990), „პარმა" (1990-1993), „რეჯანა" (1993-1994), „ატლეტიკო", მადრიდი (1995-1998), „გალათასარაი".**
***მიღწევები:*** **მსოფლიოს ჩემპიონი (1994), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1998), ამერიკის თასის მფლობელი (1989, 1997), უეფას თასის მფლობელი (1992, 2000), თასების თასის მფლობელი (1994), იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი (1985), სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი იუნიორებში (1984), ოლიმპიური ითამაშების ვიცე-ჩემპიონი (1988), თურქეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი (1999, 2000).**

„ბავშვობაში ფრენბურთი მიტაცებდა, მაგრამ ჩემში მაინც ფეხბურთმა იმძლავრა. 10-11 წლიდან მთლიანად ამ დიდებულ თამაშზე გადავერთე. მაშინ ვინ წარმოიდგენდა თუ ფეხბურთში ნელ-ნელა ამდენს მივაღწევდი" — ამბობს ტაფარელი.

უკვე 14-15 წლის ბიჭი ორ შემადგენლობაში თამაშობდა — ერთგან ნახევარმცველს ან თავდამსხმელს, მეორეგან — მეკარეს. ასე გაგრძელდა ვიდრე 18 წლისა გახდებოდა. მერე ქალაქის მერმა შენიშნა მისი ოსტატობა და ბიჭი დიდ ქალაქში, პორტუ-ალეგრიში გაგზავნა. პირდაპირ „ნასიონალში" ამოყო თავი გასინჯვაზე. ბედნიერი დამთხვევაც იყო, ბრაზილიის ეს პოპულარული კლუბი შემადგენლობის გადახალისების პროცესში იყო და მთელ ქვეყანაში ეძებდა ახალგაზრდა ტალანტებს. გავეცნოთ ტაფარელის პასუხებს ჟურნალისტთა შეკითხვებზე.

● ***რით დამთავრდა ის გამოცდა?***

— ვარჯიშზე საოცრად მშვიდად ვიყავი, აუღელვებლობა ხშირად ხელსაც კი მიშლიდა. ერთი სული მქონდა როდის შევხვდებოდი „ნასიონალის" პოპულარულ ფეხბურთელებს. იმედს არ ვკარგავდი, რომ თვით ფალკაოსაც გავიცნობდი. მაგრამ ვის გაუღიმებდა ბედი? შერჩევაზე ჩვენ ხომ მრავლად ვიყავით, მამაჩემს არ სჯეროდა თუ როდესმე გავხდებოდი ცნობილი ფეხბურთელი, დედას, პირიქით, სჯეროდა და მახალისებდა კიდეც. დამიჯერეთ, რასაც მივაღწიე ფეხბურთში, დედაჩემს ვუმადლი.

● ***დიდხანს დარჩით პორტუ-ალეგრიში?***



— გასინჯვა გაგრძელდა სამი დღე. ბოლოსთვის როგორღაც გამოფიტულად ვგრძნობდი თავს, ძალიან მოვინდომე კარგად მეთამაშა საკონტროლო მატჩები და იმიტომ. მეკარეობაზე ვკონცენტრირდებოდი. სხვათა შორის, პირველი დღის შემდეგ მითხრეს, რომ მტოვებდნენ „ნასიონალში" და რომ ამიერიდან ჩემი ცხოვრება შეიცვლებოდა.

შინ დაბრუნებულს მთელი ჩვენი ქალაქი სადგურზე შემეგება. იმ დღეს რა დამავიწყებს.

● ***მაშ ასე, თქვენ გახდით გოლკიპერი...***

— დიახ. მინდა აქვე გითხრათ, რომ არც ერთი ამპლუის ფეხბურთელი იმდენს არ ვარჯიშობს და შრომობს, რამდენსაც — მეკარე. ყველას აქვს, ალბათ, თითო შეცდომის უფლება, მეკარეს — არა!

● ***საკმაო დროს თქვენ ქველმოქმედებას უთმობთ, ხელი არ გეშლებათ?***

— კი, მაგრამ, როცა ვთამაშობდი „პარმაში", ასე ყველა იქცეოდა. მეც გადავწყვიტე და ვეხმარებოდი ღარიბ ბრაზილიელ ბავშვებს. მაშინ ავიჩემე ერთი მათგანი მეშველა კიდეც და საგანგებოდ გავემგზავრე ბრაზილიის ჩრდილოეთში. ჩავედი და რას ვხედავ, ერთბაშად 8 მოზარდი დამახვედრეს, ისეთები, რომლებიც უკიდურესად საჭიროებდნენ მშობელთა ზრუნვას. რვავე წამოვიყვანე, შემდეგ ასეთი ბავშვების რიცხვი თხუთმეტამდე გაიზარდა.

● ***როგორი ტიპის ადამიანს მიაკუთვნებთ თავს?***

— წლებმა და წარმატებებმა ვერ შემცვალა. თავს ბედნიერად ვთვლი, ამასთან, მამობრივ სიყვარულს ყველას თანაბრად ვუნაწილებ, დანარჩენებისგან არ ვანსხვავებ ჩემს ექვსი წლის კლაუდიო ანდრეას და შვიდი წლის კატერინას. ვიმეორებ, ბედნიერი ვარ ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახით. ჩემს პოზიციას სრულიად იზიარებს მეუღლე, რომელიც ჟურნალისტია. არაფერია იმაზე ბრწყინვალე, როცა ყველა შვილი ერთად მიმყავს დისნეილენდში. ამასთან, თავგამოდებული მეთევზე ვარ, მთებს კი ზღვას ვამჯობინებ. საჭმლის კეთება არ მეხერხება, ვერ ვიტან კომპიუტერებს. ბავშვობიდან მეჯავრება ტელევიზორის ცქერა. მომწონს უცხო ენები, თუმცა გენიად არ ვითვლები — ვლაპარაკობ იტალიურად და ცოტას — ინგლისურად.

● ***როგორ ფიქრობთ, რას მოჰკიდებდით ხელს, ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავით?***

— ჟურნალისტებისთვის არასდროს მითქვამს, მაგრამ ძალიან მინდოდა მემსახურა არმიაში. სამხედრო საქმე ყოველთვის მიზიდავდა. რაა გასაკვირი, მამაჩემის ექვსივე ძმა სამხედრო იყო, მხოლოდ მამაჩემმა აირჩია სხვა გზა.

● ***ბრაზილიაში ჭაბუკ ფეხბურთელთა უმეტესობა ოცნებობს გაიტანოს გოლი. მართალია, რომ თქვენს ქვეყანაში მეკარედ გახდომა ადვილია, მაგრამ აი საყოველთაო პატივისცემა?..***

— გეთანხმებით. ბრაზილიაში ყველას 10 ნომრით სურს თამაში, ფეხბურთში მთელი ქვეყანა ერკვევა, ამიტომ საკმაოდ არიან კრიტიკოსები. ევროპაში მიიჩნევენ, რომ ბრაზილიაში არ არიან კარგი მეკარეები. ვფიქრობ, ვიღაც-ვიღაცეებს მაინც, შეხედულება შევაცვლევინე.

● ***გავიხსენოთ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. მაშინ ბრაზილიამ ჩემპიონობა მოიპოვა იტალიელებთან პენალტების სერიით მატჩის მოგებით. თქვენ ნამდვილ გმირად გაღიარეს. მსგავსი რაღაც თავს გადაგხდათ ამ 6 წლის წინათაც, როცა „გალათასარაის" შემადგენლობაში უეფას თასი მოიპოვეთ. თურქეთის კლუბებს ხომ ადრე არასდროს მიუღწევიათ ასეთი წარმატებისთვის...***

— იცით რა, ყველაფერი მარტივადაა — მოიგერიე ერთი ბურთი? გმირი ხარ. მაგრამ თუ უაზრო ბურთი გაგიტანეს — სუსტი მეკარე ხარ. ერთ მაგალითს მოვიტან. 1997 წელს ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, მხოლოდ ერთი მარცხი იწვნია, ბოლივიასთან, მაშინ პენალტი მოვიგერიე. შემდეგ ერთმა ჟურნალისტმა აღიარა, რომ იქვე მოიფიქრა სათაური „ტაფარელი გმირია", მაგრამ მატჩი წავაგეთ და სათაური ასე შეიცვალა: „ტაფარელი — გმირობიდან დაცემამდე".

● ***მას შემდეგ, რაც ბრაზილია 1994 წელს ჩემპიონი გახდა, თქვენ ერთ-ერთ საეკლესიო გუნდში ითამაშეთ...***

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევა. ყველაფერი მხიარულად გამოვიდა. მაშინ ერთ მატჩში მხოლოდ სამი უცხოელის თამაში შეიძლებოდა. „პარმა" ათამაშებდა ასპრილიას, ბრულინს და გრიუნს. მე სათადარიგო სკამზე დამსვეს. მაშინ ერთმა კეთილმოსურნემ შემომთავაზა მეთამაშა საეკლესიო გუნდში. რაკი მორწმუნე ვარ, უარი ვერ ვუთხარი, თანაც თამაში მწყუროდა. ოღონდ, შევთანხმდით, თავდასხმაში გამოვიდოდი. ტურნირი მოვიგეთ, მე საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. ფინალურ მატჩს კი ერთ-ერთი ტელეარხი პირდაპირი ეთერით გადასცემდა.

● ***თურქეთში ბედნიერი იყავით?***

— ძალიან. ეს ქვეყანა ჩემთვის მეორე სახლად იქცა. ბევრი მეგობარი შევიძინე. მოვიგე უეფას თასი, მაგრამ ისე არ არის, რომ ჩემი გზა ია-ვარდითაა მოფენილი, აქაც განვიცადე ადამიანური ტკივილი და ვარამი. განსაკუთრებით, როცა აქ მიწისძვრა დიდი მსხვერპლით დასრულდა.

● ***პირადად თქვენ როგორ განიცადეთ ის მიწისძვრა?***

— მახსოვს, დაახლოებით ღამის სამი საათი იქნებოდა. ოჯახს სამსართულიანი სახლის პირველ სართულზე გვეძინა. ჯერ დავიბენი, მერე გონება მოვიკრიბე და ოჯახის წევრები ქუჩაში გავიყვანე. სახლი დაზიანდა, რამდენიმე დღე აუზზე ვიცხოვრეთ, მერე ახალი ბინა მოგვცეს.

● ***როგორ გესახებათ მომავალი?***

— ვითამაშებ სანამ შევძლებ. მინდა გავხსნა რესტორანი ევროპასა და ბრაზილიაში...

# ბავშვთა ლიგა

## II წრე
## I ტური

ლოკომოტივი (სამტრ) — ავაზა (თბ)
შევარდენი (ქუთაისი) — შევარდენი 1906 (თბ)
ხალიბი (რუსთავი) — ვაკე 91 (თბ)
ლაზიკა (ზუგდიდი) — კახეთი (თელავი)
ტონთი (გორი) — დინამო (ბთ)
მთვარის გლობუსი (თბ) — კოლხეთი

### გათამაშების ცხრილი I წრის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (ბთ) | 11 | 6 | 4 | 1 | 11-8 | 22 |
| შევარ.1906 | 11 | 6 | 3 | 2 | 30-15 | 21 |
| ლოკომოტ. | 11 | 6 | 3 | 2 | 12-11 | 21 |
| ვაკე91 | 11 | 6 | 1 | 4 | 17-16 | 19 |
| ხალიბი | 11 | 5 | 3 | 3 | 20-12 | 18 |
| შევარ.(ქუთ) | 11 | 5 | 3 | 3 | 13-9 | 18 |
| მთვ.გლობ. | 11 | 4 | 3 | 4 | 14-10 | 15 |
| კოლხეთი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-12 | 14 |
| ავაზა | 11 | 3 | 3 | 5 | 12-14 | 12 |
| კახეთი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-20 | 10 |
| ტონთიო | 11 | 3 | 0 | 8 | 17-22 | 9 |
| ლაზიკა | 11 | 1 | 2 | 8 | 13-31 | 5 |



# 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# ევროპა

### I ჯგუფი

***ფარერები — რუსეთი 0-3***
ბესჩასტნიხი (19, 30), შირკო (88)

***იუგოსლავია — სლოვენია 1-1***
0-1 მილინოვიჩი (11); 1-1 ჯორჯევიჩი (52)

***ლუქსემბურგი — შვეიცარია 0-3***
ფრეი (12), თურქილმაზი (67, 84).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | 9 | 6 | 2 | 1 | 14-5 | 20 |
| **სლოვენია** | 9 | 4 | 5 | 0 | 14-9 | 17 |
| **იუგოსლავია** | 9 | 4 | 4 | 1 | 16-6 | 16 |
| **შვეიცარია** | 9 | 4 | 2 | 3 | 18-8 | 14 |
| **ფარერები** | 9 | 2 | 1 | 6 | 6-20 | 7 |
| **ლუქსემბურ.** | 9 | 0 | 0 | 9 | 2-22 | 0 |

***ბოლო ტური: 6 ოქტომბერი***
იუგოსლავია — ლუქსემბურგი
რუსეთი — შვეიცარია
სლოვენია — ფარერები

### II ჯგუფი

***ჰოლანდია — ესტონეთი 5-0***
ზენდენი (15), ვან ბომელი (26), კოკუ (30), ვან ბომელი (39), ვან ნისტელროი (43)

***კვიპროსი — პორტუგალია 1-3***
1-0 კონსტანტინუ (24), 1-1 ნუნუ გომეში (47), 1-2 პაულეტა (65), 1-3 სერზიო კონსეისაო (71).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუგალია** | 9 | 6 | 3 | 0 | 28-7 | 21 |
| **ირლანდია** | 9 | 6 | 3 | 0 | 19-5 | 21 |
| **ჰოლანდია** | 9 | 5 | 2 | 2 | 26-9 | 17 |
| **ესტონეთი** | 9 | 2 | 2 | 5 | 10-21 | 8 |
| **კვიპროსი** | 9 | 2 | 2 | 5 | 13-27 | 8 |
| **ანდორა** | 9 | 0 | 0 | 9 | 5-31 | 0 |

***6 ოქტომბერი:*** ჰოლანდია — ანდორა
პორტუგალია — ესტონეთი
ირლანდია — კვიპროსი

### III ჯგუფი

***ჩეხეთი — მალტა 3-2***
1-0 იანკულოვსკი (20), 1-1 კარაბოტი (22 პენ), 2-1 ლოკვენცი (37), 2-2 აგიუსი (55), 3-2 ბაროში (68).

***ბულგარეთი — დანია 0-2***
დალ ტომასონი (47, 90)

***ჩრ. ირლანდია — ისლანდია 3-0***
ჰილი (48), ჰიუზი (58), მაკარტნი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დანია** | 9 | 5 | 4 | 0 | 16-6 | 19 |
| **ჩეხეთი** | 9 | 5 | 2 | 2 | 14-8 | 17 |
| **ბულგარეთი** | 9 | 5 | 2 | 2 | 14-9 | 17 |
| **ისლანდია** | 9 | 4 | 1 | 4 | 14-14 | 13 |
| **ჩრ. ირლან.** | 9 | 2 | 2 | 5 | 10-12 | 8 |
| **მალტა** | 9 | 0 | 1 | 8 | 4-23 | 1 |

***6 ოქტომბერი:*** ჩეხეთი — ბულგარეთი
დანია — ისლანდია
მალტა — ჩრ. ირლანდია

### IV ჯგუფი

***თურქეთი — შვედეთი 1-2***
1-0 ჰაქან შუქური (51), 1-1 ლარსონი (87), 1-2 ა. ანდერსონი (90)

***აზერბაიჯანი — მაკედონია 1-1***
0-1 ტრაიანოვი (12), 1-1 ისმაილოვი (90).




***სლოვაკეთი — მოლდოვა 4-2***
0-1 კლეშჩენკო (11), 1-1 პ. ნემეტი (54), 2-1 ს. ნემეტი (59), 3-1 დემო (64), 4-1 დემო (73), 4-2 რებეჯა (76).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვედეთი** | 9 | 7 | 2 | 0 | 17-3 | 23 |
| **თურქეთი** | 9 | 5 | 3 | 1 | 15-8 | 18 |
| **სლოვაკეთი** | 9 | 4 | 2 | 3 | 11-9 | 14 |
| **მაკედონია** | 9 | 1 | 4 | 4 | 11-13 | 7 |
| **მოლდოვა** | 9 | 1 | 3 | 5 | 6-17 | 6 |
| **აზერბაიჯანი** | 9 | 1 | 2 | 6 | 4-14 | 5 |

***7 ოქტომბერი:*** მაკედონია — სლოვაკეთი
მოლდოვა — თურქეთი
შვედეთი — აზერბაიჯანი

### V ჯგუფი

***უკრაინა — სომხეთი 3-0***
შევჩენკო (12), ვორობეი (87, 90).

***ბელარუსი — პოლონეთი 4-1***
1-0, 2-0, 3-0, 4-0, ვასილიუკი (8, 46, 51, 62), 4-1 მ. ჟევლაკოვი (77).

***ნორვეგია — უელსი 3-2***
0-1 სევიჯი (10), 1-1 რ. იონსენი (17), 1-2 ბელამი (28), 2-2 ქერიუ (64), 3-2 ფ. იონსენი (82).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პოლონეთი** | 9 | 6 | 2 | 1 | 23-10 | 20 |
| **უკრაინა** | 9 | 4 | 4 | 1 | 12-7 | 16 |
| **ბელარუსი** | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| **ნორვეგია** | 9 | 1 | 4 | 4 | 8-13 | 7 |
| **უელსი** | 9 | 8 | 6 | 3 | 9-12 | 6 |
| **სომხეთი** | 9 | 0 | 5 | 4 | 6-15 | 5 |




***6 ოქტომბერი:*** უელსი — ბელარუსი
სომხეთი — ნორვეგია
პოლონეთი — უკრაინა

### VI ჯგუფი

***სან-მარინო — ხორვატია 0-4***
ნ. კოვაჩი (40), პროსინეჩკი (49 პენ), სოლდო (77), პროსინეჩკი (90).

***ბელგია — შოტლანდია 2-0***
ვან კერკჰოვენი (26), გოორი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 7 | 5 | 2 | 0 | 25-5 | 17 |
| **ხორვატია** | 7 | 4 | 3 | 0 | 14-2 | 15 |
| **შოტლანდია** | 7 | 3 | 3 | 1 | 10-5 | 12 |
| **ლატვია** | 7 | 1 | 1 | 5 | 4-14 | 4 |
| **სან მარინო** | 8 | 0 | 1 | 7 | 3-30 | 1 |

***6 ოქტომბერი:*** ხორვატია — ბელგია
შოტლანდია — ლატვია

### VII ჯგუფი

***ლიხტენშტეინი — ესპანეთი 0-2***
რაული (17), ნადალი (77)

***ავსტრია — ბოსნია 2-0***
ჰერცოგი (38, 86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი** | 8 | 6 | 2 | 0 | 21-4 | 20 |
| **ავსტრია** | 7 | 4 | 2 | 1 | 9-7 | 14 |
| **ისრაელი** | 7 | 3 | 2 | 2 | 10-6 | 11 |
| **ბოსნია** | 7 | 1 | 2 | 4 | 7-12 | 5 |
| **ლიხტენშტ.** | 7 | 0 | 0 | 7 | 0-18 | 0 |

***7 ოქტომბერი:*** ისრაელი — ავსტრია
ბოსნია — ლიხტენშტეინი



### VIII ჯგუფი

***უნგრეთი — რუმინეთი 0-2***
ილიე (11), ნიკოლაე (27)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 7 | 5 | 2 | 0 | 15-3 | 17 |
| **რუმინეთი** | 7 | 5 | 0 | 2 | 9-6 | 15 |
| **საქართველო** | 7 | 3 | 0 | 4 | 11-11 | 9 |
| **უნგრეთი** | 7 | 2 | 2 | 3 | 14-12 | 8 |
| **ლიტვა** | 8 | 0 | 2 | 6 | 3-20 | 2 |

***6 ოქტომბერი:*** რუმინეთი — საქართველო
იტალია — უნგრეთი

### IX ჯგუფი

***ინგლისი — ალბანეთი 2-0***
ოუენი (44), ფაულერი (88)

***ფინეთი — საბერძნეთი 5-1***
1-0 ფორსელი (13), 2-0 რიიჰილაჰტი (22), 2-1 კარაგუნისი (32), 3-1 კოლკა (40), 4-1 ფორსელი (44), 5-1 ლიტმანენი (53 პენ).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 16 |
| **გერმანია** | 7 | 5 | 1 | 1 | 14-10 | 16 |
| **ფინეთი** | 7 | 3 | 2 | 2 | 12-7 | 11 |
| **საბერძნეთი** | 7 | 2 | 0 | 5 | 5-15 | 6 |
| **ალბანეთი** | 8 | 1 | 0 | 7 | 5-14 | 3 |

***6 ოქტომბერი:*** გერმანია — ფინეთი
ინგლისი — საბერძნეთი

# სამხრეთ ამერიკა

გაიმართა ცენტრალური შეხვედრა არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის. 60 ათასი მაყურებლის გასახარად გამარჯვება მოიპოვეს არგენტინელმა ფეხბურთელებმა.

შეხვედრის მე-3 წუთზე რობერტო კარლოსის ჩამოწოდებული აუტის შემდეგ, არგენტინელთა მცველმა რობერტო აიალამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ამის შემდეგ ბრაზილიელები დაცვაში ჩადგნენ. მეორე ნახევარში არგენტინელთა მწვრთნელმა შეცვლაზე შემოუშვა არიელ ორტეგა და მარსელო გალიარდო. 77-ე წუთზე ორტეგას ჩამოწოდებით გალიარდომ თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ხოლო 85-ე წუთზე კლაუდიო ლოპესის ჩამოწოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა კრისმა.

*პარაგვაი-ბოლივიის* შეხვედრაში თავი გამოიჩინა პარაგვაელთა მეკარემ ჩილავერტმა, რომლის დარტყმაც საჯარიმოდან მესამე გოლით დასრულდა. ამ გამარჯვებით პარაგვაის ნაკრები კიდევ უფრო მიუახლოვდა კორეა-იაპონიის საგზურს.

***ჩილე — ვენესუელა 0-2***
***პერუ — ურუგვაი 0-2***
***არგენტინა — ბრაზილია 2-1***
0-1 აიალა (3 საკ. კარში), 1-1 გალიარდო (77), 2-1 კრისი (85 საკ. კარში)




***პარაგვაი — ბოლივია 5-1***
0-1 პასი (15), 1-1 პარედესი (33), 2-1 კარდოსო (45), 3-1 ჩილავერტი (50), 4-1 სანტა კრუსი (70), 5-კარდოსო (90)

***კოლუმბია — ეკვადორი 0-0***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არგენტინა** | 15 | 12 | 2 | 1 | 37-12 | 38 |
| **პარაგვაი** | 15 | 9 | 2 | 4 | 26-14 | 29 |
| **ეკვადორი** | 15 | 8 | 2 | 5 | 17-18 | 26 |
| **ბრაზილია** | 15 | 7 | 3 | 5 | 25-14 | 24 |
| **ურუგვაი** | 15 | 7 | 3 | 5 | 16-10 | 24 |
| **კოლუმბია** | 15 | 5 | 5 | 5 | 12-13 | 20 |
| **პერუ** | 15 | 4 | 3 | 8 | 13-19 | 15 |
| **ბოლივია** | 15 | 3 | 5 | 7 | 16-26 | 14 |
| **ჩილე** | 15 | 3 | 2 | 10 | 14-22 | 11 |
| **ვენესუელა** | 15 | 3 | 1 | 11 | 12-40 | 10 |

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

UNDER 21

### I ჯგუფი

ლუქსემბურგი — შვეიცარია 0-3
იუგოსლავია — სლოვენია 2-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვეიცარია** | 7 | 4 | 3 | 0 | 19-7 | 15 |
| **რუსეთი** | 7 | 4 | 2 | 1 | 20-6 | 14 |
| **იუგოსლავია** | 7 | 3 | 3 | 1 | 14-11 | 12 |
| **სლოვენია** | 8 | 2 | 2 | 4 | 10-10 | 8 |
| **ლუქსემბურ.** | 7 | 0 | 0 | 7 | 1-30 | 0 |

### II ჯგუფი

კვიპროსი — პორტუგალია 1-0
ჰოლანდია — ესტონეთი 6-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰოლანდია** | 8 | 5 | 2 | 1 | 20-7 | 17 |
| **პორტუგალია** | 7 | 5 | 1 | 1 | 18-4 | 16 |
| **ირლანდია** | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 10 |
| **კვიპროსი** | 7 | 3 | 0 | 4 | 9-14 | 9 |
| **ესტონეთი** | 7 | 0 | 0 | 7 | 2-24 | 0 |

### III ჯგუფი

ბულგარეთი — დანია 3-1
ჩეხეთი — მალტა 3-0
ჩრ. ირლანდია — ისლანდია 1-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩეხეთი** | 9 | 8 | 0 | 1 | 20-5 | 24 |
| **ბულგარეთი** | 9 | 5 | 3 | 1 | 16-9 | 18 |
| **დანია** | 9 | 3 | 3 | 3 | 14-12 | 12 |
| **ისლანდია** | 9 | 3 | 2 | 4 | 13-13 | 11 |
| **ჩრ. ირლანდია** | 9 | 2 | 1 | 6 | 10-19 | 7 |
| **მალტა** | 9 | 0 | 3 | 6 | 3-18 | 3 |

### IV ჯგუფი

აზერბაიჯანი — მაკედონია 1-0
სლოვაკეთი — მოლდოვა 0-0
თურქეთი — შვედეთი 4-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **თურქეთი** | 9 | 7 | 1 | 1 | 17-4 | 22 |
| **შვედეთი** | 9 | 5 | 3 | 1 | 19-6 | 18 |
| **სლოვაკეთი** | 9 | 4 | 3 | 2 | 12-6 | 15 |
| **მოლდოვა** | 9 | 2 | 2 | 5 | 4-11 | 8 |
| **აზერბაიჯანი** | 9 | 2 | 2 | 5 | 4-17 | 8 |
| **მაკედონია** | 9 | 1 | 1 | 7 | 5-17 | 4 |

### V ჯგუფი

ბელარუსი — პოლონეთი 3-3
ნორვეგია — უელსი 2-0
უკრაინა — სომხეთი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უკრაინა** | 9 | 6 | 1 | 2 | 14-10 | 19 |
| **ნორვეგია** | 9 | 6 | 0 | 3 | 21-10 | 18 |
| **პოლონეთი** | 9 | 4 | 3 | 2 | 17-14 | 15 |
| **ბელარუსი** | 9 | 4 | 1 | 4 | 19-13 | 13 |
| **სომხეთი** | 9 | 3 | 2 | 4 | 8-15 | 11 |
| **უელსი** | 9 | 0 | 1 | 8 | 3-20 | 1 |

### VI ჯგუფი

ბელგია — შოტლანდია 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 5 | 4 | 1 | 0 | 8-1 | 13 |
| **ხორვატია** | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| **შოტლანდია** | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| **ლატვია** | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

### VII ჯგუფი

ავსტრია — ბოსნია 2-1
საფრანგეთი — ესპანეთი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საფრანგეთი** | 7 | 5 | 2 | 0 | 15-6 | 17 |
| **ესპანეთი** | 8 | 5 | 1 | 2 | 13-7 | 16 |
| **ისრაელი** | 7 | 3 | 0 | 4 | 11-12 | 9 |
| **ავსტრია** | 7 | 2 | 2 | 3 | 6-9 | 8 |
| **ბოსნია** | 7 | 0 | 1 | 6 | 5-16 | 1 |

### VIII ჯგუფი

უნგრეთი — რუმინეთი 1-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| **რუმინეთი** | 7 | 4 | 1 | 2 | 11-4 | 13 |
| **უნგრეთი** | 7 | 4 | 0 | 3 | 10-9 | 12 |
| **ლიტვა** | 8 | 2 | 0 | 6 | 5-17 | 6 |
| **საქართველო** | 7 | 1 | 0 | 6 | 8-15 | 3 |

### IX ჯგუფი

ინგლისი — ალბანეთი 5-0
ფინეთი — საბერძნეთი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საბერძნეთი** | 7 | 5 | 1 | 1 | 13-4 | 16 |
| **ინგლისი** | 7 | 4 | 2 | 1 | 16-7 | 14 |
| **გერმანია** | 7 | 4 | 1 | 2 | 16-7 | 13 |
| **ფინეთი** | 7 | 1 | 1 | 5 | 7-18 | 4 |
| **ალბანეთი** | 8 | 1 | 1 | 6 | 3-19 | 4 |

# კონკაკაფი

ჰონდურასი — იამაიკა 1-0
დოუსი (53 საკ. კარში)
კოსტა-რიკა — აშშ 2-0
ფონსეკა (40 პენ, 69)
მექსიკა — ტრინიდადი და ტობაგო 3-0
გარსია ასპე (24 პენ), არელიანო (43), ბლანკო (85 პენ)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კოსტა-რიკა** | 8 | 6 | 1 | 1 | 16-7 | 19 |
| **ჰონდურასი** | 8 | 4 | 2 | 2 | 17-13 | 14 |
| **მექსიკა** | 8 | 4 | 1 | 3 | 13-9 | 13 |
| **აშშ** | 8 | 4 | 1 | 3 | 9-7 | 13 |
| **იამაიკა** | 8 | 2 | 2 | 4 | 6-11 | 8 |
| **ტრინ.და ტობ.** | 8 | 0 | 1 | 7 | 4-18 | 1 |

***კოსტა-რიკამ მოიპოვა კორეა-იაპონის საგზური.***



## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ იდგა საფრანგეთის ნაკრების კარში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში მე-3 ადგილისათვის (პოლონეთი — საფრანგეთი 3-2):***
ა) ეტორი
ბ) კასტანედა
გ) ბატსი

***2. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიაში:***
ა) ჯენტილე
ბ) ორიალი
გ) შირეა

***3. რომელი ფეხბურთელები იქნენ გაძევებული 1990 წლის ფინალურ შეხვედრაში (გფრ-არგენტინა 1-0):***
ა) მონსონი და დესოტო
ბ) ბასუალდო და რუჯერი
გ) ლორენცო და სენსინი

***4. რამდენი ქართველი მონაწილეობდა 1970 წლის მეოთხედფინალურ შეხვედრაში (სსრკ — ურუგვაი 0-1):***
ა) 4
ბ) 3
გ) 2

***5. ვინ იყო 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონის (ბრაზილია) გუნდის კაპიტანი:***
ა) პელე
ბ) ჟაირზინიო
გ) კ. ალბერტო

წინა ნომრის პასუხები:
1 — ა, 2 — ბ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — გ.

**ნარკვევი, რომელსაც გთავაზობთ, ეძღვნება საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გავრილ კაჩალინს. ეს წერილი შესულია ნუგზარ მჭედლიშვილის გამოსაცემად გამზადებულ წიგნში „პარიზის ის მატჩი... ის გოლი... და ის ნაკრები“. წიგნში ასახულია საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის გამარჯვება 1960 წლის ევროპის თასის პირველ გათამაშებაში.**



# „ვარსკვლავი მწვრთნელი №1“

ექვსი წლის წინათ, 1995 წლის მაისში, მოსკოვში, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა გავრილ დიმიტრის ძე კაჩალინი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. 78 ოფიციალურ მატჩში ხელმძღვანელობდა იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებს. ეს არის აბსოლუტური რეკორდი საბჭოთა ფეხბურთისა, რომელიც არასოდეს განმეორდება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1957 წელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მოწმობის რიგითი ნომერი „1“, ამოწერილია გავრილ დიმიტრის ძე კაჩალინის სახელზე; ამიტომ ვუწოდეთ მას „ვარსკვლავი მწვრთნელი — №1“.

...1988 წლის სექტემბერში, მოსკოვში, სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის დროს, ერთ დღეს, შინ დავურეკე გავრილ დიმიტრის ძეს და ვთხოვე სასტუმრო „მოსკვაში“, სადაც მე დაბინავებული გახლდით, მობრძანებულიყო. იგი დამთანხმდა. საღამო ხანს, სასტუმროს შესასვლელთან შევხვდით ერთმანეთს. გულახდილად გეტყვით, იქ შესვლისათვის მის სახელზე საშვი არ გამომიწერია; ვიფიქრე, როგორ შეიძლება ჭაღარა კარისკაცებს არ სცოდნოდათ მისი პიროვნება. შესვლისას მათ გაზეპირებული ჟესტით საშვი მოითხოვეს, მაგრამ გავრილ კაჩალინს რომ შეხედეს, გულთბილად გაუღიმეს და ძვირფას სტუმარს გზა დაუთმეს.

იმ საღამოს ჩვენ ძალზე ბევრი ვისაუბრეთ. შემდეგ სასტუმროს რესტორანში ჩავედით, იყო უამრავი კითხვები უამრავ საინტერესო საკითხებზე, ფეხბურთზე, ფეხბურთელებზე.

გავრილ კაჩალინი საინტერესო მოსაუბრე გახლდათ. ლაპარაკობდა გამართულად, დაბალი ხმით, იუმორის ჩართვით, ყოველგვარი ჟესტიკულაციის გარეშე. საოცარი მეხსიერება ჰქონდა. უამრავი ფაქტი გავიხსენეთ, გადავწვდით „კიდით-კიდეს“. გამაოცა მის მიერ მონათხრობმა საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო მოვლენებმა, ახსოვდა სად, რა დროს, რომელ სტადიონზე რა შემადგენლობით გამოიყვანა საბჭოთა კავშირის პირველი, ოლიმპიური ნაკრები გუნდები, თბილისის „დინამო“. მიყვებოდა ვინ, როდის და რატომ შეცვალა, ვინ რომელი გოლი გაიტანა, რა ანგარიშით დამთავრდა მატჩი და სხვა...

გავრილ დიმიტრის ძეს ინფარქტი ჰქონდა გადატანილი და თითქმის არ სვამდა, არც სიგარეტს ეწეოდა. ხალისიანად ლაპარაკობდა ფეხბურთზე, ადამიანებზე. ჰყვებოდა მხოლოდ თავისი შეხედულებით, დაკვირვებით გამომდინარე ასპექტიდან.

საკითხების, პიროვნების ირგვლივ, თუმცა, ზოგჯერ, კრიტიკულად საუბრობდა, მაგრამ არასოდეს ღვარძლს არ გაურევდა. ბევრი ფეხბურთელისაგან, ფეხბურთის სპეციალისტისაგან ვიცოდი, რომ რამდენჯერმე გული ატკინეს, არასწორად მოექცნენ, დაუმსახურებელი წყენა მიაყენეს. ვცდილობდი ამ თემაზე ჩამომეგდო სიტყვა. გავრილ დიმიტრის ძე არ გაურბოდა მათზე პასუხს, მაგრამ ყველაფერ ამას შეზავებული ფაქტითა და ტაქტით აკეთებდა. დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენა საქართველო, ქართველი ხალხი, თბილისის „დინამო“. დრო ბევრი გვქონდა. არ ვიღლებოდით, მე შეკითხვების მიცემით, ის — პასუხებით. მე მინდოდა ბევრი ისეთი რამ გამეგო, რომელიც მაშინ გაზეთის ფურცლებზე არ (ვერ) დაიბეჭდებოდა. ის თავაზიანად ჩემს სურვილს აკმაყოფილებდა და თან გახსენება დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

გარეგნულად ძალიან ჩამოჰგავდა მეცნიერსა და დიპლომატს: საშუალოზე ოდნავ მაღალი, ჭაღარა, გამხდარი, ფართო შუბლი და მიმზიდველი, წყნარი სიცილი. იცვამდა სადად, მორგებულად და კოხტად. ლაპარაკობდა დაბალი ტემბრით.

მასზე არაერთგზის უთქვამთ, რომ იგი დემოკრატი იყო, ოღონდ პრინციპული და შეუვალი. ჰქონდა უაღრესად დიდი ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე. საათობით შეეძლო მოესმინა ოპონენტებისათვის, მაგრამ ყურად იღებდა მხოლოდ მას, რაც საქმისათვის იყო აუცილებელი. გადაწყვეტილებებს თვითონ იღებდა და პასუხსაც თვითონ აგებდა — დაპირებებზე თავს იკავებდა, თითქმის არავის აიმედებდა.

— ედუარდ სტრელცოვის გახმაურებულ, მაგრამ მაინც ბურუსით მოცულ ისტორიაზე რას იტყოდით? — ვკითხე მე.

არც დაფიქრებულა ისე მიპასუხა:

— ედიკი მაშინდელი მაღალი ეშელონის პარტიული ფუნქციონერების მსხვერპლი გახდა. „პირველი სიმი“ ფურცევამ ჩამოჰკრა და ხრუშჩოვიც აიყოლია. ფურცევას სტრელცოვი თავისი ქალიშვილის ქმრად უნდოდა და როცა ედიკის სასტიკ უარს წააწყდა, ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ უმსგავსო საქმე შეეთითხნა... რა ძალადობაზეა ლაპარაკი?! ყველაფერი დაგეგმილი სცენარის მიხედვით მოაწყვეს. ფურცევამ საქმეში ხრუშჩოვი ჩართო და სტრელცოვი საბოლოოდ გაწირეს.

— ფეხბურთის გულშემატკივრები ირწმუნებიან, თითქოს ის გოგო გენერლის თუ ელჩის შვილი იყო.

— ეს ყველაფერი ტყუილია; ჩვეულებრივი გოგონა იყო, ჩემი აზრით, უბრალო ოჯახიდან, ჩია ტანის.

— 1963-64 წლების საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა მაისური №7 და №11 ჩააცვა შესაბამისად იგორ ჩისლენკოსა და გალიმზიან ჰუსაინოვს და უარი თქვა აშკარა ფავორიტებზე სლავა მეტრეველზე და მიხეილ მესხზე. თქვენ რას იტყოდით, რას ემყარებოდა უფროსი მწვრთნელის გადაწყვეტილება?..

— ბესკოვს მე საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ვთვლი, მაგრამ მეტრეველისა და მესხის ნაკრების მიღმა დატოვება, მისი დიდი შეცდომა იყო. იქნებ, ამ საქმეს სხვა მოტივიც ჰქონდა. თუნდაც ის, რომ მესხი მსოფლიოს ნაკრებში იყო მიწვეული, ამით მიანიშნეს, რომ იგი თითქოს ფორმაში არ იყო.

— თქვენი აზრით, რით განსხვავდება 25-30 წლის წინანდელი ფეხბურთი დღევანდელისაგან?

— მხოლოდ ტაქტიკითა და ტაქტიკური აზროვნებით. ახლა მეტი ყურადღება ექცევა იმპროვიზაციას, ამის გამო ვარსკვლავებიც ნაკლებია. ხშირად მესმის, რომ ფეხბურთი ახლა უფრო სწრაფია, ვიდრე მაშინ. კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, ვერავინ დამაჯერებს, რომ მეტრეველი და სალნიკოვი, ნაკლებად სწრაფები იყვნენ, ვიდრე ზავაროვი და პროტასოვი. ანდა, ივანოვი რომელიმე ტაქტიკური ან ტექნიკური ჩანაფიქრის გადაწყვეტას მეტ დროს მოანდომებდა, ვიდრე ვთქვათ, ბელანოვი.

— როგორ თვლით, საჭიროა გუნდში ფსიქოლოგის აყვანა?

— არ მიმაჩნია სწორად და აუცილებლად; მწვრთნელი უნდა იყოს ფსიქოლოგიც და დამრიგებელიც, ამავე დროს კარგი პედაგოგიც. ბევრი კარგი მწვრთნელი ვიცი, მაგრამ მათ მაინც უჭირთ მუშაობა, რადგან ისინი ნაკლებად არიან ფსიქოლოგები და პედაგოგები. მახსენდება, 1964 წელს თბილისის დინამოელები როსტოვში მატარებლით მივემგზავრებოდით მორიგი კალენდარული მატჩის ჩასატარებლად. მატარებლის კუპეში ვ. ბარქაია შემოვიდა ჩემთან და მთხოვა მომესმინა, ვხედავ, ბიჭი კარგ ხასიათზეა, თვალები აფერადებული და აწყლიანებული აქვს. ერთი სიტყვით, ცოტა ნასვამია. დამიწყო მობოდიშება, მითხრა, რომ მეგობრები არ მოეშვნენ და ხათრი ვერ გაუტეხა. შევატყვე, დასჯა საქმეს არ უშველიდა; თვითონაც ძალიან განიცდიდა. კარგი, ვუთხარი, წადი, ითამაშე და იქ დაამტკიცე, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა და დაამტკიცა კიდეც ÷ როსტოვში თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა. შემდეგ კი არ მახსოვს წესრიგი დაერღვიოს. და, კიდევ ერთი მაგალითი:

ხომ საქვეყნოდ არის ცნობილი ზეინკლიშვილის ოხუნჯობანი, ზოგჯერ წრეგადასული, მაგრამ ჯემალი მოედანზე სული და გული იყო. ამიტომაც არ ვუშლიდი, არადა, ხანდახან ისეთ რამეს მოიმოქმედებდა, ენას არ შეუძლია აღწეროს. ხშირად ბიჭები ნერვული დაძაბულობიდან გამოჰყავდა.

მახსოვს, 1964 წელს, ტაშკენტში, „ტორპედოსთან“ დაუვიწყარი მატჩის წინა დღეს ფეხბურთელებს ნერვიულობა დასჩემდათ. მთელი დღე პირშეკრული არიან, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, სასტუმროს ეზოში დადიან. ვატყობ, საქმე ცუდადაა, ხვალ მატჩია, ამ განწყობით ვერ მოვიგებთ, უდავოა. უცბად ხმამაღალი სიცილის ხმა მომესმა, ეზოს ჭიშკართან, რას ვხედავ — ზეინკლიშვილს სადღაც ვირი უშოვია, ზედ შემჯდარა და ფეხების ფხოკიალით სასტუმროსაკენ მოაჭენებს, ხარხარმა მთელი სასტუმროს ბინადარი შეჰყარა, ბიჭებს ნერვიულობა მთლიანად მოეხსნათ. მე კი ახლაც მეცინება ჯემალის მაშინდელი „მხედრობის“ ამბავი რომ გამახსენდება.



...იყო დრო, როცა მოშურნენი ამბობდნენ, რომ გ. კაჩალინი თავისი სამწვრთნელო კრედოთი მხოლოდ ნაკრებს მიესადაგებოდა. ავრცელებდნენ მოსაზრებებს, რომ მას არ შეუძლია გამოზარდოს ფეხბურთელები, რომ იგი მხოლოდ მზა მოთამაშეებს უკეთებს ერთ გუნდში კონცენტრაციას. 1964 წლის საფეხბურთო სეზონმა უარყო ეს მოსაზრება, როცა გავრილ დიმიტრის ძის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი გუნდი მოგვიანებით 1971-72 წ.წ. საბჭოთა კავშირის პირველობის ბრინჯაოს მედლების მფლობელიც გახდა. ასევე, მოსკოვის დინამოელებმა 1973 წელს მესამე ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში.

— როგორ შეადგენდით საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს მათგან, ვისთანაც გიმუშავიათ?

— ისეთი კითხვაა, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. აბა როგორ გინდა თერთმეტკაციან გუნდში მოუყარო თავი ოსტატებს, რომლებიც შეუდარებელნი იყვნენ. ვცადოთ: კარებში უდავოდ ლევ იაშინი უნდა დავაყენოთ. ოთხი მცველიდან: ცენტრში შესტერნიოვი და კრიჟევსკი, მაგრამ რა ვუყოთ მასლიონკინსა და ხურცილავას? განაპირა მცველებად ჩოხელი და ბორის კუზნეცოვი ავირჩიოთ, რა ვთქვა კესარევზე და პონომარიოვზე? კარგი და ნახევარდაცვის ორი ვაკანსია ვორონინსა და ნეტოს დავუთმე, იური ვოინოვმა რაღა დააშავა, თავდასხმაში მესხი მარცხენა ფლანგზე ხომ უდავოა, ცენტრში პონედელნიკი და სტრელცოვი ხომ კონკურსგარეშეა? რა ვუყოთ ივანოვს, უდიდეს ტექნიკოსს და უაღრესად „ცბიერ“ მოთამაშეს?! მეტრეველსა და ტატუშინს, მარჯვენა ფლანგზე ხომ ვერავინ შეედრებოდა. ძალიან შევიწროვდით, მაგრამ მაინც, ნაკრების მიღმა დავტოვეთ გიორგი სიჭინავა, სერგეი სალნიკოვი, ნიკიტა სიმონიანი, ანატოლი ილინი, გულახდილად გეტყვით, ისინი ჩემი სიამაყენი იყვნენ.

— ვინ არის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ჩვენში და საზღვარგარეთ?

— ჩვენთან იაშინი და სტრელცოვი, საზღვარგარეთ — პელე და დი სტეფანო. ბრმა შემთხვევა რომ არა, რისთვისაც სტრელცოვი მკაცრად დაისაჯა, იგი პელეს გაუტოლდებოდა. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ხუთწლიანი პატიმრობა მოიხადა, მაგრამ იმხელა ტალანტი იყო, კვლავ ლიდერობა მოიპოვა, ისევ გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, იგი უნიკუმი იყო, სტრელცოვის მსგავსები ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ იბადებიან.

— გავრილ დიმიტრის ძევ! 1964 წელს, თქვენი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამო“ სსრკ ჩემპიონი გახდა. იყო განუზომელი სიხარული, ალტაცება და აღმაფრენა. დინამოელთა ანსამბლი მაშინ მართლაც რომ ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული და მაინც, ვის გამოჰყოფდით იმ გუნდიდან, ვის ეყრდნობოდით ყველაზე მეტად, ვინ მიგაჩნდათ ლიდერად?

— მომიტევებს შოთა იამანიძის ნათელი სული, არ მიწყინონ ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, მიხეილ მესხი, ის თაყვანისმცემლები, სხვათა შორის, კვლავ აღვნიშნავ, რომ მესხი განუმეორებელია, მაპატიებენ სხვებიც, თუ გულახდილად ვიტყვი, რომ ასეთი ფეხბურთელი მაშინ დინამოში სლავა მეტრეველი იყო. უდიდესი ფეხბურთელი, დიდი ადამიანი, საოცრად მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ, ათლეტი, შეუდრეკელი და შეუპოვარი, უდიდესი ტექნიკისა და ტაქტიკის მქონე, ნამდვილი მებრძოლი წინამძღოლი — ასეთი იყო სლავა მეტრეველი. 1964 წლის დასაწყისში, რამდენიმე ტური უკვე გავლილი იყო, როცა მე მიხეილ იაკუშინი შევცვალე. დინამოში სუფევდა ის საჭირო სულისკვეთება, რომელიც საჩემპიონო გუნდს უნდა, მაგრამ რაღაც მაინც აკლდა. ეს „რაღაც“ იყო რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში. ამას დაერთო სერგო კოტრიკაძის ავადმყოფობა. მალე სერგო მწყობრში ჩადგა, მიშა მესხმა გაიკეთა ოპერაცია. აი, აქ გამოჩნდა სლავა მეტრეველის ნამდვილი სახე. მან თავის თავზე აიღო გუნდის ლიდერის მძიმე ტვირთი და ბოლომდე გაუძლო მას. მიშას გამოჯანმრთელებამდე ჩვენ თავდასხმის ასეთი ოთხეული გვყავდა: მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი. აფშევი, ვატყობდი, მონდომების მიუხედავად, გუნდს მხარს ვერ უბამდა, მის იმედზე ჩემპიონები ვერ გავხდებოდით. სწორედ მაშინ მოველაპარაკე სლავას თავდასხმის ცენტრში გადასვლის შესახებ. სლავას წინააღმდეგობა არ გაუწევია. იგი შესანიშნავად მოერგო ახალ ადგილს. შეუდარებელი იყო სლავა იმ სეზონში, ორგანიზატორი, წინამძღოლი, დაფრინავდა მინდორზე. რამდენი გოლი გაიტანა, რამდენი სხვებს გაატანინა, რა მატჩები მოვიგეთ... იმ სეზონში ყველა შეხვედრაში ითამაშა, მხოლოდ ერთხელ შევცვალე, მეორე ტაიმში, თბილისში, თუ არ ვცდები მინსკის „დინამოსთან“. ჩვენ ვიგებდით იმ მატჩს და იგი ამიტომაც „დავასვენე“. 24 წელი გავიდა იმ დღეებიდან და ახლაც სიამოვნებას მგვრის მისი გახსენება. ახლაც მადლობას ვეუბნები სლავას შეუდარებელი თავდადებისათვის. ის რომ არა, 1964 წელს ჩემპიონობის მოპოვება ნამდვილად გაგვიჭირდებოდა.

...საუბარში ნელ-ნელა ქართულ ფეხბურთს შევეხეთ.

— ძალიან მწყინს, რომ ქართულმა ფეხბურთმა დათმო პოზიციები, მე უდიდესი წარმოდგენისა ვარ საქართველოზე. თქვენს რესპუბლიკაში დიდხანს მუშაობამ ღრმა შთაბეჭდილება შემიქმნა მის სპორტზე, ხელოვნებაზე, სტუმართმოყვარეობაზე, მის სუფრაზე... საერთოდ, ადამიანებზე. ქართველები ამაყები ხართ, მონდომებულები, ხელგაშლილები. მე ახლოს ვიცნობ ქართველ სპორტსმენებს, მომღერლებს, მხატვრებს, ვიცნობდი ბევრ თანამდებობის პირს, ყველას, მათ, საქართველო ზღაპრად წარმოუდგენიათ და არც სცდებიან, მე სხვაგან არ მინახავს ასეთი ადათ-წესების ხალხი, სხვაგან არ მომისმენია ასეთი სადღეგრძელოები, მიწის სიყვარულიც ასეთი დოზით არავისთვის შემიმჩნევია...

გვიან დავცილდით ერთმანეთს. ინტერვიუ გავრილ კაჩალინთან იმ პერიოდისათვის დასაშვები (1988 წ.) ცენზურით გამოქვეყნდა პრესაში და შევიდა ჩემს წიგნში „რეტრო“. რაც მაშინ არ დაბეჭდილა, შემდეგ თანდათანობით ეღირსა დღის სინათლე. გავრილ დიმიტრის ძესთან მისი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ გამიწყვეტია კავშირი. ხშირად ვეხმიანებოდი ტელეფონითაც. ამ რამდენიმე თვის წინათაც დავრეკე უკვე „უკაჩალინო“ ოჯახში და მის მეუღლეს თავაზიანად ვთხოვე გავრილ დიმიტრის ძის კუთვნილი სპორტული ლიტერატურა, ჩანაწერები... მან დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და ჩემივე მეგობრის საშუალებით გადმომცა ყველაფერი — წიგნები, გაზეთები, ფოტოსურათები, სამწუხაროდ, მცირე ნაწილი, რაც ოჯახს შემორჩა.

1981 წელს, როცა გავრილ კაჩალინს 70 წელი შეუსრულდა, საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტანი — 1956 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და 1960 წლის ევროპის თასის მფლობელი იგორ ნეტო ყოველკვირეულ „ფუტბოლში“ მასზე წერდა:

— „ასეთ ადამიანებზე ამბობენ: სიბრძნის წყაროაო. გავრილ კაჩალინი ჩემთვის ყოველთვის იყო და დარჩება საფეხბურთო სიბრძნის წყაროდ. და განა მარტო ჩემთვის?.. სხვადასხვა ზომით, მაგრამ ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ თავს ვთვლიდეთ გავრილ დიმიტრის ძის მოწაფეებად“.

... აღარ არის ჩვენს შორის დიდებით მოსილი მოძღვარი, რომელსაც დიდება არ უძებნია. ის თვითონ მივიდა მასთან. ან როგორ არ მივიდოდა?

1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ოქროს მედლები დაისაკუთრა.

1960 წელს საბჭოთა ნაკრები პარიზში გამართულ ევროპის თასის პირველი გათამაშებიდან სამშობლოში გამარჯვებული — თასის მფლობელი დაბრუნდა.

1964 წელს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის ისტორიაში პირველად მოიპოვეს ჩემპიონის სახელი.

სამივე შემთხვევაში გამარჯვებულ გუნდებს სათავეში გავრილ დიმიტრის ძე კაჩალინი ედგა.

აღარაფერს ვამბობ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრების მიერ ჩატარებულ სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე, რომლებმაც გულშემატკივართა აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

სულ კი გავრილ კაჩალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ნაკრებმა 78 მატჩი ჩაატარა. 51 მოიგო, 15 წააგო და 12 შეხვედრა ფრედ დაამთავრა. ბურთების სხვაობა — 178-67.

აღარ არის ჩვენს შორის ადამიანი — „ვარსკვლავი მწვრთნელი №1“, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა და ქართული ფეხბურთის ალმასვლისა და წარმატებისათვის.

**ნუგზარ მჭედლიშვილი,**
მაისი. 2000 წ.



*სურათებზე: ზევით, — ტაშკენტი, 1964 წ. მატჩის წინ (მარცხნიდან) ა. კოტრიკაძე, გ. კაჩალინი, ა. ლოლობერიძე; ტრიუმფატორები გუნდის უფროს მწვრთნელთან ერთად საფეხბურთო მინდვრის გარშემო საპატიო წრეს უვლიან; მილოცვები, მილოცვები... (მარცხნიდან) მეტრეველი, იამანიძე, კაჩალინი.*

# ევროპა – აზია

## 16–20 სექტემბერს, ბათუმში

ეს, თუ გნებავთ, უნიკალური ასპარეზობა გახლავთ. აბა, სად და როდის ჩატარებულა შეხვედრა ევროპისა და აზიის ნაკრებებს შორის?! საინტერესო ტრადიციას ბათუმში ეყრება საფუძველი და ამიერიდან იქვე სისტემატურად ჩატარდება. ზედიზედ სამჯერ გამარჯვებული ასლან აბაშიძის თასით დაჯილდოვდება.

გუნდები ე.წ. შევენინგენის სისტემით ითამაშებენ სწრაფი ჭადრაკის პარტიებს (სადაც სვლების მოსაფიქრებლად მოჭადრაკეს, ყოფნის თუ არ ყოფნის, სულ 25 წუთი აქვს – ასეთი თამაში გულშემატკივრების დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ბრძოლა მეტად დინამიურ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება შევენინგენის სისტემას, მისი თავისებურება იმაშია, რომ ერთი გუნდის ნებისმიერი მოჭადრაკე მეორის ყველა წევრს უნდა შეხვდეს. ამდენად დაფებს რაიმე მნიშვნელობა არა აქვს – სულ ერთია, ყველას უნდა ეთამაშო (ბათუმში – 2-2-ჯერ).

ახლა ვნახოთ, როგორი შემადგენლობის განაცხადები წარმოადგინეს მხარეებმა.

დიდ ინტერესს იწვევს ევროპის ნაკრებში გარი კასპაროვის თამაში. მართალია, მან მსოფლიო ჩემპიონობა დაკარგა, მაგრამ რეიტინგ-ლისტში კვლავ პირველ ადგილზეა 2838 ქულით და თანაც მთელი 36 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ვლადიმირ კრამნიკს. მსოფლიოში მეჩვიდმეტე რეიტინგი (2695) აქვს 28 წლის ჰოლანდიელ დიდოსტატ ლიუკ ვან ველის, რომელიც სისტემატურად, წარმატებით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში. ევროპის ნაკრებში მესამე მაჩვენებელი (2674) აქვს გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილს, რომელმაც 27-ე ადგილიდან 24-ზე გადაინაცვლა და კიდევ უფრო გაიუმჯობესებს შედეგებს, რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას მიიპყრობს 24 წლის ყოფილი ბაქოელის, ემილ სუტოვსკის თამაში, რომელიც ახლა ისრაელის №1 მოჭადრაკეა. მას შემდეგ, რაც სამიოდე თვის წინათ სუტოვსკიმ ბრწყინვალე სტილით მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, მან რეიტინგ-ლისტში 84-ე ადგილიდან 36-ზე (2651) გადაინაცვლა. პირიქით, ამ თვალსაზრისით „სულ სხვა მიმართულებით იმგზავრა“ ყოფილმა ხარკოველმა, ახლა კი ბელგიის ჩემპიონმა მიხაილ გურევიჩმა. იგი იანვრისათვის მსოფლიოში მე-14 იყო, ახლა კი (დააკვირდით!) 47-ე ადგილზეა. აი, რას ნიშნავს რამდენიმე ტურნირში მარცხიანად გამოსვლა. უკვე დიდი სახელი აქვს 18 წლის ფრანგ ეტიენ ბაკროს (2653), რომელიც 34-ე ადგილზეა. და, ბოლოს, სათადარიგო მოთამაშეა ცნობილი გერმანელი დიდოსტატი კრისტოფერ ლუტცი (2643, 41-ე ადგილი). თქმა არ უნდა, ევროპის ნაკრები შესანიშნავი მოჭადრაკეებისაგან შედგება და მატჩ-ტურნირის მოგების ჩინებული შესაძლებლობებიც აქვს.

ევროპის ნაკრებში ქალთა შორის ითამაშებენ მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (2513), ნანა იოსელიანი (2497), ევროპის ჩემპიონი ელმირა სკრიპჩენკო – ლოტიე (2494 მოლდოვა) და ეკატერინა კოვალევსკაია (2507, რუსეთი).

ახლა ზოგი რამ ვთქვათ აზიის ნაკრებზეც, სადაც, სამწუხაროდ, ვერ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), რომლის საჭადრაკო კალენდარი გადატვირთული აღმოჩნდა. აზიის შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდულია: რუსტამ კასიმჯანოვი (2704, უზბეკეთი), ე ციანჩუანი (2677, ჩინეთი), კრიშნან სასიკირანი. (2589 ინდოეთი), თხენ ჰაო დაო (2580, ვიეტნამი), უტუტ ადიანტო (2598, ინდონეზია) და კასპაროვის ყოფილი მწვრთნელი ევგენი ვლადიმიროვი (2612, ყაზახეთი). ძალიან ძლიერია ქალთა ოთხეული: მსოფლიო ჩემპიონი სიუ ჟუნი (2553, ჩინეთი), მსოფლიო თასის მფლობელი ხუ იუჰუა (2502, ჩინეთი), ჟუ ჩენი (2497, ჩინეთი) და ჰოანგ ტჰანგ ტრანგი (2445, ვიეტნამი).

# ზოგი რამ ახალ მსოფლიო ჩემპიონებზე

**20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეების ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საჭადრაკო სამყაროში გარკვეული ცვლილებები, გადაადგილებები ხდება — მოდის „ახალი ტალღა“, რომელიც თავისას მოითხოვს.**

ჩვენ უკვე ვწერდით ამ დღეებში საბერძნეთში გამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატების შესახებ. ქართველ საერთაშორისო ოსტატ მერაბ გაგუნაშვილის 9,5 ქულა 13 შესაძლებლიდან და ვერცხლის მედალი, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა. მას მხოლოდ ახალმა მსოფლიო ჩემპიონმა პეტერ აჩმა (უნგრეთი) გაუსწრო, რომელმაც 10 ქულა მოაგროვა. საინტერესოა, რომ აჩის წარმატება საბოლოოდ განაპირობა უკანასკნელ ტურში მისმა მოგებამ შავი ფიგურებით 15 წლის, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილ დიდოსტატ ბუ ქსანგჟისთან, რომელიც ამ ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. საინტერესოა, რომ ამ ტურნირამდე პეტერ აჩი, თუმცა დიდოსტატის წოდება ჰქონდა, არც კი შედიოდა ფიდეს მიერ სულ ახლახან გამოქვეყნებულ იუნიორთა მსოფლიო რეიტინგ-ლისტში. აქ 22 მოჭადრაკეს შორის 17 წლის ბაადურ ჯობავას მე-12 ადგილი უჭირავს.

რაც შეეხება ქალიშვილებს, აქ ამიერიდან, ეტყობა, საყოველთაო ყურადღებას მიიპყრობს ხუმპუ კონერუ (დაიბ. 1987 წლის 31 მარტს). ეს გასაოცრად ნიჭიერი ინდოელი მოჭადრაკე ჩვენს მიერ ახლა ნახსენებ რეიტინგ-ლისტში აქამდე მეცხრე იყო (ანა მათნაძეს აქ 21-ე ადგილი უკავია), ახლა კი მკვეთრად გაიუმჯობესებს მდგომარეობას. მას ბოლო ტურამდე 16 წლის ჩინელი დიდოსტატი ჯაო სიუ კი უსწრებდა, მაგრამ იგი დაუზავდა რუს ნადეჟდა კოსინცევას. ამასობაში ხუმპუ კონერუმ მოუგო 16 წლის გერმანელ დიდოსტატ ელიზაბეტ პეტცს (რომელიც თავის ქვეყანაში №2 მოჭადრაკედ ითვლება ქეთევან კახიანის შემდეგ) და დაეწია ჩინელს. საბოლოოდ, როგორც ხუმპუ კონერუმ, ისე ჯაო სიუმ 13 შესაძლებლიდან 9,5 — 9,5 ქულა მოაგროვეს, მაგრამ უკეთესი დამატებითი მაჩვენებლების გამო ჩემპიონობა ინდოელს მიეკუთვნა. დიახ, ანანდის დიდმა წარმატებებმა ინდოეთში ჭადრაკის ნამდვილი ციებ-ცხელება გამოიწვია.

# რედაქციის განცხადება

მეთოდური და სამეცნიერო ხასიათის წერილების გამოქვეყნება „ლელოში“ 2003 წლამდე შეჩერებულია. მიზეზი ისაა, რომ ასეთი პუბლიკაციები მეტწილად ძველის გამეორება და დამრიგებლური ხასიათისაა, ავტორის სურვილებზეა აგებული, ამ სურვილების რეალიზებისთვის კი ჩვენი ცხოვრების ამჟამინდელ პირობებში, არც ეკონომიკური შესაძლებლობებია და არც კეთილი ნება.

რედაქცია ბოდიშს უხდის ყველას, ვისაც ჩვენს გაზეთში ასეთი წერილების გამოქვეყნება ჰქონდა განზრახული.

რედაქციის გადაწყვეტილება არ ეხება იმ პუბლიკაციებს, რომლებიც სპორტის სფეროში რეფორმებს, ახალ მეცნიერულ გამოკვლევებს და პრაქტიკოს სპეციალისტებისთვის სასარგებლო ნოვაციებს შეეხება.

# იუმორი




პირველად საქართველოში!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზებული კოლეჯი „ჰარმონია“

იწვევს

ხელოვნებასა და სპორტში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ცხრაკლასდამთავრებულ მოსწავლეებს.

კოლეჯის კურსდამთავრებულები, სურვილის შემთხვევაში, ჩაირიცხებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე, არასაბიუჯეტო სწავლების პირველ კურსებზე.

მიღება შეზღუდულია.

კოლეჯში სწავლა ფასიანია.

საბუთების მიღება დაწყებულია.

კოლეჯი „ჰარმონია“ ჰარმონიულად აღზრდის ახალგაზრდებს, ქვეყნისა და უნივერსიტეტის მომავალს!

მისამართი ი.ჭავჭავაძის პრ. №17ა. უნივერსიტეტის მე-9 კორპუსი, მე-5 სართული.

**ტელეფონები:** 25-39-06. მობილური 8-77 40-27-79 – ოთარ მიმინოშვილი.


# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**7 სექტემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (10.30), სპორტის სიახლენი (19.30, 22.30, 01.30, 05.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი (11.30, 2.15), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (14.30), ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არქივი (14.20, 16.35, 19.25, 22.10), მსოფლიო ფეხბურთი (16.05), ბრაზილიის საფეხბურთო გეოგრაფია (18.30), ბრაზილიის ჩემპიონატი. ფინალი: „კორინტიანსი“ – „ვასკო და გამა“ (0.10), ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ყოველდღიური ცნობები (11.15, 19.50), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (12.35), ტაილანდური კრივი (18.40).

**8 სექტემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (19.00), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი: „ნოტინგემი“ – „მანჩესტერი“ (10.00), მიმოხილვა (18.00), „ჩელსი“ – „არსენალი“, პირდაპირი (19.00), „მანჩესტერი“ – „ევერტონი“ (21.15), „ჩელსი“ – „არსენალი“ (06.00), ***НТВ плюс футбол:*** საფეხბურთო არქივი (13.1ა, 15.00), ბრაზილიის ჩემპიონატის ფინალი: „კორინტიანსი“ – „ვასკო და გამა“ (15.15), გერმანიის ჩემპიონატი (18.25), ინგლისის ჩემპიონატი (20.50), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (22.35), იტალიის ჩემპიონატი (23.25), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ს ღია ჩემპიონატი (12.15, 21.00), დიდი რინგი (18.35)

**9 სექტემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.30), მსოფლიო ფეხბურთი (19.35), მძლეოსნობა. იააფ-ის გრან-პრი, ფინალი (0.40), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერი“ – „ევერტონი“ (08.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.30), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.00), ინგლისის ჩემპიონატის მატჩები „ტოტენჰემი“ – „საუთჰემპტონი“, პირდაპირი (18.00), „ჩარლტონ ატლეტიკი“ – „ფულემი“, პირდაპირი (20.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (22.30). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 21.50), იტალიის ჩემპიონატი (15.00, 23.30), ინგლისის ჩემპიონატი (16.45, 19.55), ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (18.30), ***НТВ плюс спорт.*** კეთილი ნების თამაშები ავსტრალიაში (11.45, 0.25), მსოფლიო მარათონი. მოსკოვის საერთაშორისო (12.55), ბრძოლა წესების გარეშე (23.50).

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა სამძიმარს უცხადებს სახელოვან ქართველ ფალავანს, პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს საქართველოდან, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, დავით ციმაკურიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაუგრძნობს ძალოსნობაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიო რეკორდსმენს გიორგი ასანიძეს სიმამრის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა სამძიმარს უცხადებს, საქართველოს ბეისბოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს რამაზ გოგლიძეს სიძის გარდაცვალების გამო.**

# კროსვორდი №70



**თარაზულად:** 5. ბილიარდის ჯოხი, 6. რუსეთის საფეხბ. კლუბი, 8. ისრაელის საფეხბ. კლუბი, 10. არგენტინის საფეხბ. ნაკრების მეკარე, 12. წარწერა დაწესებულების შესასვლელში, 13. ფრანგი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი, 14. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 15. დანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 17. მეტოქისადმი წინასწარ მიცემული უპირატესობა, 20. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი (1996 წ), 21. ფიდეს პრეზიდენტის ილიუმჟინოვის სახელი.

**შვეულად:** 1. იტალიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მსოფ. ჩემპიონი, 2. კორეის ნაკრების ფეხბურთელი 1998 წლის მს. ჩემპიონატზე, 3. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, 4. მძლეოსნობის ერთ-ერთი იარაღი, 5. სოკ-ის ერთ-ერთი ყოფილი პრეზიდენტი, 7. საფეხბურთო მატჩებზე მრავალჯერადი დასწრების ერთ-ერთი საბუთი, 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 11. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 16. პროფესიონალი მოკრივე, 17. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 18. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 19. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი.

**კროსვორდი №69 ● პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ელინგი, 6. „ივერია“, 8. ავსტრალია, 9. აკუნია, 10. რაშკა, 12. ილიადი, 18. მარულა, 20. არენა, 21. გრანდი, 22. კურტანიძე, 23 მესტია, 24. ფალკაო. **შვეულად:** 1. მენჩიკი, 2. ტიგანა, 3. ტრიალი, 4. ინსაიდი, 7. კროშე, 10. რაპირა, 11. აკოსტა, 13, ეტიუდი, 14. ლამა, 15. სანეევი, 16. დესაი, 17. „ადიდასი“, 19. ანკესი, 21. გრეცკი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლb6!

1. ...მფ:f3 2. ლh6 მფe3 3. ეg3X.

1. ...მფ:d3 2. ეc5 მფe3 3. ეc3X.


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.